

ISSN 1987-6890

ՁՅԳԵԳՁՈՆԹՈ EKONOMISTI

Նախնաժողովրդական Նախաճարտարա-ստեղծագործչիկրհոն պրհոնՆաճարտար

International Scientific - Analytical Journal

5

2 0 1 0

UDC33

ე-49

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

სექტემბერი
ოქტომბერი

5

2010

მთავარი რედაქტორი რამაზ აბუსაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

იური ანანიაშვილი, როზა ანათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, თემურ ბერიძე, ბიორბი ბერუღაშვილი, ვახტანგ ბურღული, რევაზ ბობოხია, მიხეილ თოქმაჯიშვილი, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მენსია, ელგუჯა მემვაბიშვილი, ბიორბი პაპავა, შუანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიგუტი.

აკადემიური დოქტორები:

ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დატუნაშვილი, ლია თოთლაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თეა ლახარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, ნოდარ ხაღურტი, ელენე ხარაბაძე, მამუკა ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (ლიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანტანას მასტიტუსი (ლიტვა), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ), სლავომირ პატრიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი), ანდრეი კერმანი (პოლონეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-analytical Journal
Published from January 2009

September
October

5

2010

Editor-in-chief

Ramaz Abesadze
SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharaishvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:

Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).

FOREIGN MEMBERS:

Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstius (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patritski (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ მ შ ი

ეკონომიკური თეორია

იური ანანიაშვილი, ვლადიმერ პაპავა – მაკროეკონომიკური წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში 5

მაკროეკონომიკა

ანზორ კურათაშვილი – Налоговая политика государства и необходимость ее подчинения решению двуединой социально-экономической задачи 24

ლალი ხურციია – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიული ასპექტები 28

სამართაშორისო ურთიერთობები

David Aptsiauri – Georgia-European Union Cooperation in Energy Security 35

გიგა მაისურაძე – გეოპოლიტიკური ფაქტორის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში 41

მიკროეკონომიკა

Berulava George – The Determinants of Household Labor Supply: Evidence from Georgia 45

მაზისტრანტებისა და ღოჭტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

გიორგი აბაშიშვილი – კონფლიქტების გადაწყვეტის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები 57

ნინო ანდღულაძე – ფინანსური ანგარიშგების როლი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში 61

გიორგი მიქანაძე – ეკონომიკური ზრდის მოდელები და მათზე ინსტიტუციური განვითარების გავლენა 67

მაია სანიკიძე – რა უშლის ხელს მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში? 74

საჯირო ნაშრომი ეკონომიკის დარგში 79

ინფორმაცია 80

C O N T E N T S

ECONOMIC THEORY

- Yuri Ananiashvili, Vladimer Papava* – Macroeconomic Equilibrium Under the Laffer-Keynesian Synthesis 5

MACROECONOMICS

- Anzor Kuratashvili* – Tax Policy of the State and Necessity of its Submission to the Decision of a Two-Uniforms Social-Economic Problem 24
- Lali Khurtsia* –Review of FDI Theories 28

INTERNATIONAL RELATIONS

- David Aptsiauri* – Georgia-European Union Cooperation in Energy Security 35
- Giga Maisuradze* – The Role of Geopolitical Factor’s Economy 41

MICROECONOMICS

- Berulava George* – The Determinants of Household Labor Supply: Evidence from Georgia 45

SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS

- Giorgi Abashshishvili* – The Issues of Economic Policy of Conflict Solutions 57
- Nino Andguladze* – Role of Financial Report in Economical Decisions 61
- Giorgi Mikanadze* – Models of Economic Growth and the Influence of Their Institutional Development 67
- Maia Sanikidze* – What Hampers Small Business to be Developed in Georgia 74

- NECESSARY WORK IN ECONOMIC SECTOR 79

- INFORMATION 80

ეკონომიკური თეორია

იური ანანიაშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომეტრიკის კათედრის გამგე
გლადიმერ პაპავა*

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი*

მაკროეკონომიკური წონასწორობა ლაშვარ-კვინიანიანი სინთეზის პირობებში

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებში გადასახადების როლი, როგორც წესი, ცალმხრივად შეისწავლება.

კეინზიანიზმი აქცენტს ძირითადად იმ მექანიზმზე აკეთებს, რომლითაც გადასახადები ეკონომიკაზე ერთობლივი მოთხოვნის საშუალებით ზემოქმედებს და თითქმის არ ითვალისწინებს ერთობლივი მიწოდების მხრიდან ზემოქმედების მექანიზმს. უფრო კონკრეტულად, კეინზიანურ მოდელებში განიხილება სიტუაცია, როცა ერთობლივი მიწოდება დამოკიდებული არ არის გადასახადებზე, მაშინ, როცა ერთობლივი მოთხოვნა, განსაკუთრებით კი მისი ის ნაწილი, რომელიც მოხმარებას ეხება, გადასახადების ფუნქციაა.

გადასახადების პრობლემას ცალმხრივად განიხილავს, აგრეთვე, მიწოდების თეორია, რომელშიც წინა პლანზე საგადასახადო განაკვეთის ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედებაა წამოწეული. ბუნებრივია, გადასახადების როლის სრულფასოვანი ახსნა და აღნიშნული თეორიების ცალმხრივობის გადალახვა შესაძლებელია მათი სინთეზის გზით. ასეთი სინთეზის პირველი მცდელობა შემოთავაზებულია ნაშრომში [1]. ქვემოთ წარმოდგენილი მოდელი ამ მიდგომის გადრმაგების ცდას წარმოადგენს. იგი ეფუძნება მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელს, რომელიც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებისაგან შედგება. მაგრამ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სტანდარტული მოდელისაგან განსხვავებით, ეს ფუნქციები განიხილება არა ფასების დონისა და გამოშვების მოცულობის საკოორდინატო ღერძების მქონე სიბრტყეზე, არამედ საშუალო საგადასახადო განაკვეთისა (რომელსაც შემდგომ t -თი აღვნიშნავთ) და გამოშვების მოცულობის (Y) საკოორდინატო ღერძების სიბრტყეზე. რაც შეეხება ფასების დონეს – P -ს, მოდელში ის ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებაზე მოქმედ სხვა დანარჩენ ფაქტორებთან ერთად ეგზოგენურად მოიცემა.

ერთობლივი მოთხოვნის მოდელი

ჩვენი ანალიზი დავიწყოთ ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის განხილვით, რომელსაც $Y^D(t)$ -თი აღვნიშნავთ. ეს ჩანაწერი იმაზე მიუთითებს, რომ ერთობლივი მოთხოვნა Y^D საშუალო საგადასახადო განაკვეთის ფუნქციად განიხილება. სტატიის [2] მარტივი კეინზიანური მოდელის გარდაქმნილი ვარიანტის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ, თუ შემოვიფარგლებით მხოლოდ საქონლის ბაზრის ანალიზით, მაშინ საშუალო საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდე-

ბული ერთობლივი წონასწორული გამოშვების ფუნქცია შეიძლება შემდეგი სახით გამოვსახოთ:

$$Y^D(t) = \frac{\tilde{A}}{1 - (1-t)b - tg}, \quad (1)$$

სადაც \tilde{A} ავტონომიური გეგმიური დანახარჯებია (ეს მაჩვენებელი შინამეურნეობების ავტონომიური მოხმარების a -ს, ავტონომიური სახელმწიფო შესყიდვების \tilde{G}_0 -ს¹, მთლიანი შიგა კერძო ინვესტიციების I_0 -ს და წმინდა ექსპორტის NX_0 -ს ჯამს წარმოადგენს: $\tilde{A} = a + \tilde{G}_0 + I_0 + NX_0$);

b – შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების პარამეტრი, $0 < b < 1$;

g – სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილების პარამეტრი, $0 \leq g \leq 1$.

იმისათვის, რომ (1)-ს მივცეთ ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციის დასრულებული სახე, მიზანშეწონილია გავაფართოვოთ ჩვენი ანალიზი და საქონლის ბაზართან ერთად განვიხილოთ ფულის ბაზარიც. ამ მიზნით ავტონომიური დანახარჯების შემადგენლობაში შემავალი მთლიანი შიგა ინვესტიციები I_0 ეგზოგენური სიდიდის ნაცვლად, საპროცენტო განაკვეთზე (i) დამოკიდებული წრფივი ფუნქციის სახით წარმოვადგინოთ (იხ. მაგალითად, [3, გვ. 117]): $I_0 = \tilde{I}_0 - \mu i$, სადაც \tilde{I}_0 ინვესტიციური დანახარჯების ავტონომიური ნაწილია, μ – საპროცენტო განაკვეთის მიმართ ინვესტიციების მგრძობიარობის მახასიათებელი არაუარყოფითი პარამეტრი. პარალელურად განვიხილოთ ფულის ბაზრის წონასწორობის სტანდარტული განტოლება (იხ. მაგალითად, [3, გვ. 131]): $M/P = kY(t) - hi$, რომელშიც ფულის მიწოდება M/P ეგზოგენურად განისაზღვრება საბანკო სისტემის მიერ, ფულზე მოთხოვნა კი საპროცენტო განაკვეთისა (i) და საქონლის შექენაზე გაწეული ერთობლივი დანახარჯების ($Y(t)$) ფუნქციაა; k ერთობლივი დანახარჯების მიმართ ფულზე მოთხოვნის მგრძობიარობის არაუარყოფითი პარამეტრია; h – საპროცენტო განაკვეთის მიმართ ფულზე მოთხოვნის მგრძობიარობის არაუარყოფითი პარამეტრი. მაშინ, შესაბამისი გარდაქმნების შედეგად (1)-ის ნაცვლად ერთობლივი მოთხოვნის შემდეგ ფუნქციას მივიღებთ²:

$$Y^D(t) = \frac{A}{1 - (1-t)b - tg + \mu k/h}, \quad (2)$$

სადაც A ეგზოგენურად მოცემული ელემენტებისაგან შემდგარი სიდიდეა, რომელიც, ტრადიციული ავტონომიური დანახარჯების ($\tilde{A}_0 = a + \tilde{G}_0 + \tilde{I}_0 + NX_0$)


¹ დაზუსტებისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ \tilde{G}_0 -ში შედის სახელმწიფო შესყიდვების არა მთლიანი სიდიდე (როგორც ეს ტრადიციულ კეინზიანურ მოდელებშია მიღებული), არამედ მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე დამოკიდებული არ არის და ეგზოგენურად განისაზღვრება [2, გვ. 74-75].

² უნდა აღვნიშნოთ, რომ (2) ერთობლივი მოთხოვნის კეინზიანური მოდელის კარგად ცნობილი ვარიანტისაგან ($IS-LM$ მოდელისაგან) გადასახადების ასახვისა და ავტონომიური ელემენტების A აგრეგატის განსაზღვრის წესით განსხვავდება.

გარდა, შეიცავს ფულის რეალურ ნაშთზე – (M/P) -ზე დამოკიდებულ ელემენტს:

$$A = a + \tilde{G}_0 + \tilde{I}_0 + NX_0 + \frac{\mu}{h} \left(\frac{M}{P} \right) = \tilde{A}_0 + \frac{\mu}{h} \left(\frac{M}{P} \right). \quad (3)$$

შეიძლება ვახევნოთ [2], რომ (2) ფუნქციის თვისებები დამოკიდებულია b და g პარამეტრების თანაფარდობაზე: სხვა თანაბარ პირობებში $Y^D(t)$ განსაზღვრის არეში³ t -ს მიმართ ზრდადია, როცა $g > b$, კლებადია – როცა $g < b$ და ინდიფერენტულია, როცა $g = b$ ⁴. $Y^D(t)$ -ს გრაფიკული ილუსტრაცია b და g პარამეტრების სხვადასხვა თანაფარდობისათვის წარმოდგენილია ნახ. 1-ზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მასზე მოყვანილი $Y^D(t)$ -ს გრაფიკები გადაადგილებას განიცდის ყველა იმ შემთხვევაში, როცა სხვა თანაბარ პირობებში იზრდება ან მცირდება (3)-ით განსაზღვრული A -ს სიდიდე. კერძოდ,



ნახ. 1. ერთობლივი მოთხოვნის მრუდის ვარიანტები

³ $Y^D(t)$ ფუნქციის განსაზღვრის არეა $[0, 1]$ შუალედი ვინაიდან, შინაარსიდან გამომდინარე, საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობათა სიმრავლე ნულსა და ერთს შორისაა მოქცეული: $0 \leq t \leq 1$.

⁴ იმის დასაბუთება, თუ რატომ არის $g > b$ შემთხვევაში ერთობლივი მოთხოვნა საგადასახადო განაკვეთის მიმართ ზრდადი, იხილეთ [2]-ში.

A -ს გადიდებისას $Y^D(t)$ -ს გრაფიკები პარალელურად გადაადგილდება ზემოთ, რაც მოცემული საგადასახადო განაკვეთისათვის ერთობლივი მოთხოვნის ზრდას ნიშნავს; პირიქით, A -ს შემცირებისას $Y^D(t)$ -ს გრაფიკები პარალელურად ქვემოთ გადაადგილდება და ეს მოცემული საგადასახადო განაკვეთისათვის ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას შეესაბამება.

ერთობლივი მიწოდების მოდელი

საშუალო საგადასახადო განაკვეთზე დამოკიდებული ერთობლივი მიწოდების როლში შეიძლება განვიხილოთ [4]-ში შემოთავაზებული მთლიანი გამოშვების ფუნქცია, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ლაფერის თეორიის მოთხოვნებს (იხ., მაგალითად, [5, 6]) და შემდეგი სახე გააჩნია:

$$Y^S(t) = Y_{pot} f(t) = Y_{pot} (-et^\delta \ln t^\delta), \quad (4)$$

სადაც Y_{pot} გამოსახავს პოტენციური გამოშვების მოცულობას, რომლის მიღება არსებული ტექნოლოგიის პირობებში შეიძლება ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენების დროს;

$f(t) = -et^\delta \ln t^\delta$ ინსტიტუციური ასპექტის ამსახველი ფუნქციაა და ერთობლივ მიწოდებაზე გადასახადების ჯამური ეფექტის გავლენას აღწერს. ეს ქცევის ფუნქციაა და გვიჩვენებს მოცემული საშუალო საგადასახადო განაკვეთის პირობებში (ანუ მოცემული ინსტიტუციური გარემოს პირობებში) რა ხარისხით ხდება არსებული ეკონომიკური რესურსების გამოყენება. აღნიშნული შინაარსიდან გამომდინარე $0 \leq f(t) \leq 1$. $f(t)$ -ს ერთთან სიახლოვე იმის ნიშანია, რომ მოცემული საშუალო საგადასახადო განაკვეთის პირობებში ეკონომიკური აქტიურობა მაღალია და რესურსების გამოყენების დონე მაქსიმალურს უახლოვდება. $f(t)$ -ს ნულთან სიახლოვის შემთხვევაში კი საწინააღმდეგო სიტუაციას აქვს ადგილი. მოცემულ ფუნქციაში შემავალი e ნატურალური ლოგარითმის ფუძეა, δ დადებითი პარამეტრია, რომლის შესახებ მსჯელობა ცოტა ქვემოთ გვექნება.


ერთობლივი მიწოდების (4) ფუნქციის თვისებები გამოკვლეულია [4]-ში, სადაც ნაჩვენებია, რომ $Y^S(t)$ ზრდადია $[0, t^*)$ შუალედში, კლებადაა $(t^*, 1]$ შუალედში და

$$\lim_{t \rightarrow 0} Y^S(t) = 0, \quad \max Y^S(t) = Y^S(t^*) = Y_{pot}, \quad t^* = \exp\left(-\frac{1}{\delta}\right) = e^{-1/\delta}, \quad Y^S(1) = 0.$$

საგადასახადო განაკვეთის $t^* = e^{-1/\delta}$ მნიშვნელობისათვის ინსტიტუციური გარემო ხელს უწყობს რესურსების სრულად გამოყენებას და გამოშვების მოცულობა მაქსიმალურია, ანუ ერთობლივი მიწოდება იმყოფება პოტენციურ Y_{pot} ნიშნულზე. ამის გამო t^* -ს **ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი შეიძლება ვუწოდოთ.**

(4)-ის გრაფიკული ილუსტრაცია მოცემულია ნახ. 2-ზე (Y^S მრუდი). ნახაზი გვიჩვენებს, რომ, როცა დაცულია სხვა თანაბარი პირობები, მაშინ საშუალო საგადასახადო განაკვეთის 0-დან t^* -მდე ცვლილებას მოსდევს $Y^S(t)$

მრუდის აღმაველ ნაწილზე მოძრაობა, ხოლო t^* -დან 1-მდე ცვლილებას კი – დაღმაველ ნაწილზე მოძრაობა⁵.



ნახ. 2. ერთობლივი მიწოდების მრუდი და მისი მოძრაობის ვარიანტები

რა მოხდება “სხვა თანაბარი პირობების” ცვლილების შემთხვევაში?

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ (4) მოდელის პირობებში ერთობლივი მიწოდებისათვის სხვა თანაბარი პირობების ცვლილება გულისხმობს ან პოტენციური გამოშვების სიდიდის – Y_{pot} -ს, ან δ პარამეტრის მნიშვნელობის ცვლილებას. როგორც წესი, Y_{pot} -ს ცვლილება ძირითადად გრძელვადიან პერიოდში ხორციელდება და ამის მიზეზი შეიძლება იყოს სამუშაო ძალის ან კაპიტალის არსებული რაოდენობის გადიდება ან შემცირება, ტექნოლოგიის დონის გაუარესება ან გაუმჯობესება, შრომის მწარმოებლურობის ცვლილება და სხვ. როცა ეს ცვლილებები დადებითად აისახება Y_{pot} -ზე, მაშინ $Y^S(t)$ მრუდი ზემოთ აიწევს – ერთობლივი მიწოდება გაიზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებული საშუალო საგადასახადო განაკვეთის პირობებში იმაზე მეტი პროდუქტი და მომსახურება შეიქმნება ეკონომიკაში, ვიდრე ეს Y_{pot} -ის გადიდებამდე ხორციელდებოდა. ცხადია, პოტენციური გამოშვების სიდიდის შემცირებას საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვება – $Y^S(t)$ მრუდი დაბლა დაიწევს და არსებული საგადასახადების პირობებში ერთობლივი მიწოდებაც შემცირდება. საინტერესოა ის გარემოება, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, პოტენციური გამოშვების როგორც გადიდება, ასევე შემცირება გავლენას არ ახდენს t^* -ზე - ოპტიმალურ საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელო-

⁵ იგულისხმება, რომ საშუალო საგადასახადო განაკვეთის ზრდას თან ახლავს დადებითი და უარყოფითი ეფექტები. 0-დან t^* -მდე ცვლილებისას დადებითი ეფექტების როლი უფრო ძლიერია, ვიდრე უარყოფითი ეფექტების, ამიტომ ამ შუალედში საგადასახადო განაკვეთის ზრდას ერთობლივი მიწოდების მრუდის აღმაველ ნაწილზე მოძრაობა შეესაბამება. პირიქით, t^* -დან 1-მდე ცვლილებისას დომინირებულ როლს უკვე უარყოფითი ეფექტები ასრულებს. შესაბამისად, ამ შუალედში t -ს გადიდებისას მცირდება ერთობლივი მიწოდების სიდიდე. უფრო დეტალურად ეს საკითხი ახსნილია [4]-ში.

ბაზე. სხვანაირად, Y_{pot} -ს ცვლილებისას იცვლება (4) ფუნქციის მაქსიმუმის სიდიდე, მაგრამ არ იცვლება საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა, რომელზეც ეს მაქსიმუმი მიიღწევა.

სრულიად განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როცა ერთობლივი მიწოდების (4) მოდელში სხვა თანაბარი პირობების დარღვევაში იგულისხმება მიმდინარე კონუნქტურის, ფასების დონის, პროდუქციის ერთეულის წარმოების დანახარჯების, მეწარმეთა მოლოდინის ცვლილება. ეს გარემოებები, განსაკუთრებით კი ფასების დონის ცვლილება, გავლენას არ ახდენს პოტენციური გამოშვების Y_{pot} სიდიდეზე (ანუ $Y^S(t)$ ფუნქციის მაქსიმუმის მნიშვნელობაზე),

მაგრამ ზემოქმედებს δ პარამეტრზე და ამ პარამეტრით განსაზღვრულ ოპტიმალურ საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობაზე⁶. სხვანაირად რომ ვთქვათ, მაგალითად, ფასების დონის გაზრდის შემთხვევაში არ იცვლება $Y^S(t)$ ფუნქციის მაქსიმუმის სიდიდე, მაგრამ იცვლება საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა, რომელზეც ეს მაქსიმუმი მიიღწევა⁷. მაშასადამე, ამ შემთხვევაში $Y^S(t)$ ფუნქციის გრაფიკი Y^S მდგომარეობიდან გადაადგილდება (გადაიხრება) მარცხნივ ან მარჯვნივ. ნახ. 2-ზე გადახრის ფორმებს შეესაბამება წვეტილი Y_1^S და Y_2^S წირები. გადაადგილების (გადახრის) კონკრეტული მიმართულება კი დამოკიდებულია იმაზე, მოქმედი საშუალო საგადასახადო განაკვეთი $[0, t^*)$ და $(t^*, 1]$ შუალედებიდან რომელში იმყოფება. თუ დავეშვებთ, რომ მოქმედი განაკვეთი იმყოფება $[0, t^*)$ შუალედში და შეადგენს, მაგალითად, t_1 -ს ($t_1 \in [0, t^*)$), მაშინ ფასების დონის გადიდებისას გრაფიკი მარცხნივ გადმოიხრება Y_1^S მდგომარეობაში, ხოლო თუ მოქმედ განაკვეთად ჩავთვლით t_2 -ს, რომელიც $(t^*, 1]$ შუალედს მიეკუთვნება ($t_2 \in (t^*, 1]$), მაშინ გადახრა მარჯვნივ Y_2^S მდგომარეობაში განხორციელდება⁸. ამ ცვლილებების დროს დაცულია ეკონომიკის კურსში სტანდარტულად აღიარებული დებულება იმის შესახებ, რომ ფასების დონის გადიდება (ან

⁶ შეგახსენებთ, რომ ერთობლივი მიწოდების (4) მოდელში t^* და δ პარამეტრი ერთმანეთთან შემდეგ დამოკიდებულებაში იმყოფება $t^* = \exp(-1/e)$.

⁷ გამონაკლისია შემთხვევა, როცა ეკონომიკა სრული დასაქმების მდგომარეობაში იმყოფება და საგადასახადო განაკვეთი t მის ოპტიმალურ t^* მნიშვნელობას ემთხვევა. ასეთ სიტუაციაში ფასების დონის ზრდა არ იწვევს არც $Y^S(t)$ ფუნქციის მაქსიმუმის და არც δ პარამეტრისა და მისი შესაბამისი t^* განაკვეთის ცვლილებას. მაშასადამე, ერთობლივი მიწოდების მრუდი არსებულ მდგომარეობას ინარჩუნებს.

⁸ ადვილად შეგინშნავთ, რომ ერთობლივი მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილებისას პოტენციური გამოშვების შესაბამისი ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის სიდიდე მცირდება, ხოლო მარჯვნივ გადაადგილებისას – იზრდება. ამ ფაქტის გათვალისწინებით ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის სიდიდის გამოსათვლელი ფორმულიდან $t^* = \exp(-1/e)$ დავადგენთ, რომ $Y^S(t)$ მრუდის მარცხნივ გადახრისას δ პარამეტრი მცირდება, მარჯვნივ გადახრისას კი იზრდება.

პროდუქციის ერთეულზე წარმოების დანახარჯების შემცირება, ან კიდევ, მიმდინარე კონიუნქტურის გაუმჯობესება) ნორმალურ სიტუაციაში, თუ ადგილი არა აქვს სრულ დასაქმებას, ერთობლივი მიწოდებაზე დადებითად აისახება და იწვევს ამ უკანასკნელის ზრდას.

მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელი

ვისარგებლოთ საშუალო საგადასახადო განაკვეთის მიმართ განსაზღვრული ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ზემოთ მოყვანილი (2)-(3) და (4) მოდულებით და მაკროეკონომიკური წონასწორობის განტოლება $Y^S(t) = Y^D(t)$ შემდეგი სახით ჩავწეროთ:

$$Y_{pot}(-et^\delta \ln t^\delta) = \frac{A}{1 - (1-t)b - tg + \mu k/h}. \quad (5)$$


(5) ლაფერ-კეინზიანური წონასწორობის პირობაა. t -ს მნიშვნელობას, რომელიც (5)-ს დააკმაყოფილებს, **წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთი** ეწოდოთ⁹. წონასწორული t -ს არსებობის გრაფიკულ ილუსტრირებას ნახ. 3 იძლევა. ამასთან, ნახ. 3ა შეესაბამება შემთხვევას, როცა $Y^D(t)$ -ში სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება g ნაკლებია მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებაზე – b -ზე, ნახ. 3ბ – შემთხვევას, როცა $g > b$, და, ბოლოს, ნახ. 3გ – შემთხვევას, როცა $g = b$.¹⁰

როგორც ვხედავთ, b -ს და g -ს სხვადასხვა თანაფარდობისას ავტონომიური დანახარჯების \tilde{A}_0 -ს, ფულის რეალური ნაშთის (M/P)-ს და პოტენციური გამოშვების Y_{pot} -ს მოცემული მნიშვნელობებისათვის შეიძლება სამ შემთხვევას ჰქონდეს ადგილი:

1) წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთი არ არსებობს (Y^S და Y^D წირები ერთმანეთით არ გადაიკვეთება). ცხადია, ასეთი რამ მაშინ მოხდება, როცა A -ში შემავალი ავტონომიური დანახარჯები \tilde{A}_0 იმდენად დიდია, რომ მის დასაკმაყოფილებლად პოტენციური გამოშვება Y_{pot} საკმარისი არ არის;

⁹ (5) განტოლების სპეციფიკიდან გამომდინარე, წონასწორული t -ს (ანუ (5) განტოლების ამონახსნის) ანალიტიკური გამოსახვა შეუძლებელია, მაგრამ მიხედვითი გამოთვლითი მეთოდებით მისი მოძებნა პრობლემატურად არ წარმოადგენს.

¹⁰ შეგახსენებთ, რომ ერთობლივი მოთხოვნის კეინზიანური მოდელის შემოთავაზებულ ვარიანტში b და g პარამეტრების თანაფარდობა საშუალო საგადასახადო განაკვეთზე ერთობლივი მოთხოვნის დამოკიდებულების ხასიათს განსაზღვრავს. კერძოდ, $Y^D(t)$ t -ს მიმართ კლებადია, როცა $b > g$ ზრდადია, როცა $b < g$ და ინდიფერენტულია, როცა $b = g$.



ნახ 3. წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში

2) არსებობს საშუალო საგადასახადო განაკვეთის ორი წონასწორული სიდიდე t_1 და t_2 (Y^S და Y^D წირები ერთმანეთით ორ წერტილში გადაიკვეთება), რომელთა როლი და მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, თუ როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან შინამეურნეობების მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება b და სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრული მიდრეკილება g . როცა $b > g$ (ნახ. 3ა), წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთის ორი სიდიდიდან უკეთესია მცირე (t_1), ვინაიდან იგი უზრუნველყოფს მეტ ერთობლივ დანახარჯებს, მეტ გამოშვებას და, აქედან გამომდინარე, დასაქმების უფრო მაღალ დონეს; ამავე მიზეზით $b < g$ შემთხვევისათვის (ნახ. 3ბ) უკეთესია მაღალი საგადასახადო განაკვეთი t_2 ; და, ბოლოს, $b = g$ შემთხვევისათვის (ნახ. 3გ) ორივე t_1 და t_2 განაკვეთი წარმოების, დასაქმებისა და ერთობლივი დანახარჯების თვალსაზრისით ერთი და იმავე შედეგის მიღებას უზრუნველყოფს;

3) არსებობს ერთადერთი წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთი (Y^S და Y^D წირებს ერთმანეთთან შეხების ერთი წერტილი გააჩნია), რომელიც ოპტიმალური შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა $b = g$.

შემდგომ, სიმარტივისათვის, b -სა და g -ს თანაფარდობის სამი შესაძლო შემთხვევიდან მხოლოდ ერთს განვიხილავთ, კერძოდ, ვიგულისხმებთ, რომ $b > g$. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ სიტუაციაში ერთობლივი მოთხოვნა $Y^D(t)$ საგადასახადო განაკვეთის მიმართ კლებადია, რაც კეინზიანურ თეორიაში გაბატონებული მოსაზრებაა. აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ მოცემულ სტატიაში დასმული მიზნის თვალსაზრისით დანარჩენი ორი შემთხვევის პირობებშიც ისეთივე შედეგი მიიღება, რაც განსახილველ $b > g$ შემთხვევისათვის.

წონასწორობის დარღვევისა და აღდგენის ვარიანტები


იმის გასარკვევად, თუ როგორ მყარდება მოყვანილი მოდელის პირობებში წონასწორობა, მივმართოთ (5) განტოლებას. ვინაიდან მოცემული განტოლებისათვის ამონახსნის არარსებობისა და მხოლოდ ერთი ამონახსნის არსებობის შემთხვევები (ანუ ზემოთ აღნიშნული პირველი და მე-3 შემთხვევა) ნაკლებად შესაძლებელია, ამიტომ ჩავთვალოთ, რომ მოცემული A -ს, Y_{pot} -ს და δ -ს მნიშვნელობებისათვის (5) t -ს მიმართ თავსებადია და არსებობს ორი ამონახსნი t_1 და t_2 . მაშასადამე, ნახ. 4ა-ზე მოცემული Y^S და Y^D წირებისათვის მაკროეკონომიკური წონასწორობა შეიძლება F და E წერტილებიდან ერთ-ერთში იმყოფებოდეს. სიცხადისათვის დაგუშვათ, რომ წონასწორობის საწყისი წერტილია F და მას შეესაბამება წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთი t_1 .

ვთქვათ, გარკვეული მიზეზების გამო დაირღვა საწყისი წონასწორობა. როგორც (5)-დან გამომდინარეობს, ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

- ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება რიგი გარემოებების, მათ შორის გეგმიური ავტონომიური დანახარჯების ერთი ან რამდენიმე ელემენტის, ან კიდევ, ფულის რეალური ნაშთის გადიდების ან შემცირების გამო;
 - სახელმწიფოს მიერ საშუალო საგადასახადო განაკვეთის მიზანმიმართული ცვლილება;
 - ერთობლივი მიწოდების ცვლილება პოტენციური გამოშვების Y_{pot} -ს გადიდების ან შემცირების გამო.
- განვიხილოთ თითოეული შემთხვევა.

წონასწორობის აღდგენა ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების შემთხვევაში. დავიწყეთ შემთხვევით, როცა სხვა თანაბარ პირობებში ცვლილებას განიცდის ერთობლივი მოთხოვნა. განსაზღვრულობისათვის დაგუშვათ, რომ იგი გაიზარდა A -ს შემადგენელი ავტონომიური დანახარჯების რომელიმე ელემენტის ზრდის გამო. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ეს ცვლილება გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის მრუდის Y^D -დან Y_1^D მდგომარეობაში გადასვლას (ნახ. 4ა). შექმნილ სიტუაციაში, ვიდრე საგადასახადო განაკვეთი t_1 დონეზეა, გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელობა F_1 წერტილით განისაზღვრება და აჭარბებს ერთობლივი მიწოდების სიდიდეს, რომელიც,

თავის მხრივ, F წერტილით განისაზღვრება. იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორი იქნება სახელმწიფოს ქმედება, წონასწორობის აღდგენა ან ახალ წონასწორობაში გადასვლა შეიძლება ორი ვარიანტის მიხედვით განხორციელდეს.



ნახ. 4. წონასწორობის აღდგენა ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების შემთხვევაში

წონასწორობის ჩამოყალიბების ერთი ვარიანტი სახელმწიფოს გააქტიურებას გულისხმობს, კერძოდ, მის მიერ საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებითა და შესაბამისი კანონმდებლობის გამოყენებით გაზრდილი ავტონომიური ხარჯების პარალელურად t -ს მნიშვნელობის გაზრდას t_1 -დან t_1' -მდე. ასეთი ღონისძიება გავლენას მოახდენს როგორც ერთობლივი მოთხოვნის, ასევე ერთობლივი მიწოდების მნიშვნელობაზე: საგადასახადო განაკვეთის გაზრდა პირველს შეამცირებს (მოთხოვნის სიდიდე Y_1^D მრუდზე F_1 წერტილიდან F_2 წერტილში გადავა), მეორეს კი, ლაფერის თეორიის თანახმად გაზრდის (Y^S მრუდზე ერთობლივი მიწოდების სიდიდე F წერტილიდან გადავა F_2 წერტილში) და, საბოლოოდ, F_2 წერტილში ჩამოყალიბდება ახალი წონასწორობა, რომელსაც საწყის წონასწორობასთან შედარებით გამოშვების გაზრდილი მოცულობა შეესაბამება.

განსხვავებულ სიტუაციას ექნებოდა ადგილი ეკონომიკის წონასწორობის საწყისი წერტილი F -ის ნაცვლად E -ში რომ ყოფილიყო. ნახ. 4-ს მიხედვით ეს უკანასკნელი ერთობლივი მიწოდების დაღმავალ ნაწილზე მდებარეობს, სადაც დომინირებულ როლს გადასახადების უარყოფითი ეფექტები ასრულებს. ასეთ პირობებში ეკონომიკური აქტიურობის წახალისებისა და ერთობლივი მიწოდების გადიდების ბუნებრივ გზას საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემცირება წარმოადგენს. ამიტომ, შექმნილ ჰიპოთეზურ სიტუაციაში, სახელმწიფო t -ს მნიშვნელობას თუ შეამცირებს t_2 -დან t_2' -მდე, მაშინ ეკონომიკა ახალ E_2 წონასწორობაში გადასვლასა და გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნის შესაბამის დაკმაყოფილებას შეძლებს.

მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენის აქ განხილული სცენარი იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ სახელმწიფო საგადასახადო განაკვეთის რეგულირებით შესაძლებელს ხდის დაკმაყოფილდეს გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნა ისე, რომ ფასების დონე არ შეიცვალოს. მაგრამ, თუ სა-

ხელმწიფო ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებს და უარს იტყვის საშუალო საგადასახადო განაკვეთის რეგულირებაზე, მაშინ ამუშავდება წმინდა საბაზრო მექანიზმი, რომელიც წონასწორობის ჩამოყალიბებას ფასების დონის რეგულირებით მოახდენს.

ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სტანდარტული მოდელიდან, რომელიც ფასების დონისა და მთლიანი გამოშვების სიბრტყეზე განიხილება, გამომდინარეობს, რომ როდესაც ეკონომიკა არასრული დასაქმების მდგომარეობაში იმყოფება და წარმოიქმნება ჭარბი ერთობლივი მოთხოვნა¹¹, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, ფასების დონის ზრდას აქვს ადგილი. ზოგად შემთხვევაში, ეს იწვევს ერთობლივი მოთხოვნის სიდიდის შემცირებას და ერთობლივი მიწოდების სიდიდის გაზრდას ისე, რომ მათ შორის წონასწორობა მყარდება. ბუნებრივია, ეს მექანიზმი გარკვეული სპეციფიკით ჩვენ მიერ შემოთავაზებულ (2)-(5) მოდელშიც მოქმედებს. სპეციფიკა კი ისაა, რომ (2)-(5) მოდელში ფიქსირებული საშუალო საგადასახადო განაკვეთის პირობებში ფასების დონის ზრდა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების მდებარეობაზე აისახება და მათ გადაადგილებას იწვევს¹². გადაადგილების ფორმა და მიმართულება იმ შემთხვევისათვის, როცა საწყისი მაკროეკონომიკური წონასწორობა F წერტილში იმყოფებოდა, ნაჩვენებია ნახ.

4ბ-ზე. აქ Y^D და Y_1^D მრუდები ახასიათებს ერთობლივ მოთხოვნას ფასების დონის გაზრდამდე. ამასთან, Y^D საწყისი მრუდია, Y_1^D კი – ავტონომიური დანახარჯების გაზრდის შემდგომ წარმოქმნილი მრუდი. ფასების დონის ცვლილებამდე არსებულ ერთობლივ მიწოდებას შეესაბამება Y^S მრუდი.

ფასების დონის გაზრდის შედეგად შემცირებული ერთობლივი მოთხოვნის მრუდი¹³ მიიღებს Y_2^D მდგომარეობას, გაზრდილი ერთობლივი მიწოდების მრუდი კი – Y_1^S მდგომარეობას. შესაბამისად, ახალი წონასწორობა, რომელიც ფასების დონის ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდება, F_2 წერტილით განიხილვრება.

ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ფიქსირებული საშუალო საგადასახადო განაკვეთის პირობებში ავტონომიური დანახარჯებისა და, შესაბამისად, ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებით წარმოქმნილი ფასების დონის ზრდა δ პარამეტრზე და მის შესაბამის ოპტიმალურ საგადასახადო განაკვეთზე აისახება. როცა საწყისი წონასწორობის წერტილი ერთობლივი მიწოდების აღმაველ ნაწილზე იმყოფება (როგორც ამას ზემოთ განხილულ შემთხვევაში აქვს ადგილი), ანუ, როცა საწყისი წონასწორობის შესაბამისი საგადასახადო განაკვეთი t_1 ნაკლებია მის ოპტიმალურ t^* მნიშვნელობაზე, ერთობლივი მოთხოვნისა და ფასების დონის ზრდას თან ახლავს δ -ს შემცირების და ოპტი-

¹¹ ჩვენ სწორედ ასეთ შემთხვევას ვიხილავთ.

¹² ფასების დონის ცვლილება (2)-(5) მოდელის ფარგლებში “სხვა თანაბარი პირობების” დარღვევას ნიშნავს. ამიტომ საკოორდინატო სიბრტყეზე ფასების დონის ცვლილება Y^D და Y^S მრუდების მდებარეობაზე აისახება, მაშინ, როცა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სტანდარტულ მოდელში ფასების დონის ცვლილება Y^D და Y^S მრუდებზე მოძრაობას იწვევს.

¹³ საქმე ისაა, რომ როცა იზრდება P , მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, მცირდება A , რადგანაც ეს უკანასკნელი შეიცავს P -ზე დამოკიდებულ ელემენტს – M/P -ს (იხ. (3).

მალური საგადასახადო განაკვეთის მარცხნივ მოძრაობის პროცესი. ამასთან, თუ ერთობლივი მოთხოვნა და, შესაბამისად, ფასების დონე გააგრძელებს ზრდის პროცესს, დადგება მომენტი, როცა ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი წონასწორობის შესაბამის t_1 -ის მოცემულ ფიქსირებულ მნიშვნელობას გაუტოლდება.

საპირისპირო სიტუაციასთან გვექნება საქმე იმ შემთხვევაში, როცა საწყისი წონასწორობის წერტილი Y^S მრუდის დადმავალ ნაწილზე იმყოფება და წონასწორობის შესაბამისი საგადასახადო განაკვეთი მეტია მის ოპტიმალურ t^* მნიშვნელობაზე. ასეთ პირობებში საგადასახადო განაკვეთის ფიქსირებული მნიშვნელობის დროს ერთობლივი მოთხოვნისა და შესაბამისად ფასების დონის ზრდა იწვევს δ პარამეტრის ზრდას, ერთობლივი მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მარჯვნივ მოძრაობას წონასწორობის შესაბამისი განაკვეთის მიმართულებით. ამასთან, ერთობლივი მოთხოვნის გარკვეულ დონემდე გაზრდა საწყისი წონასწორობის შესაბამის საგადასახადო განაკვეთს ოპტიმალურ განაკვეთად აქცევს.


მთავარი დასკვნა, რომელიც წონასწორობის აღდგენის განხილული ვარიანტის ანალიზიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ **ფასების დონის ცვლილების შედეგად წარმოქმნილ δ პარამეტრის ცვლილებას თან ახლავს საგადასახადო განაკვეთის წონასწორული და ოპტიმალური მნიშვნელობების ერთმანეთთან დაახლოების პროცესი.**

წონასწორობის აღდგენა საგადასახადო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში. განვიხილოთ შემთხვევა, როცა წონასწორობის დარღვევის მიზეზი სახელმწიფოს მიერ საგადასახადო განაკვეთის მიზანმიმართული ცვლილება ხდება. ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, ახლაც დაეუშვათ, რომ საწყის წონასწორობას F -ს შეესაბამება საშუალო საგადასახადო განაკვეთის t_1 მნიშვნელობა (იხ. ნახ. 5ა), რომელიც ნაკლებია ლაფერის პირველი გვარის ფისკალურ წერტილ t^* -ზე. ვთქვათ, სახელმწიფომ გადაწყვიტა დაბეგვრის ოპტიმალურ t^* რეჟიმში გადასვლა და საშუალო საგადასახადო განაკვეთი შესაბამისად გაზარდა. სხვა თანაბარ პირობებში, დაბეგვრის ახალ t^* რეჟიმზე გადასვლას, ლაფერის თეორიის თანახმად, გადასახადებთან დაკავშირებული დადებითი ეფექტების დომინირების გამო, ერთობლივი მიწოდების სიდიდის გადიდება მოჰყვება, რაც Y^S მრუდზე შესაბამის მოძრაობაში აისახება: მოხდება F წერტილიდან F_2 წერტილში გადასვლა. იმავედროულად, გაზრდილი საგადასახადო განაკვეთი გავლენას მოახდენს ერთობლივი მოთხოვნის სიდიდეზე და Y^D წირზე დაიწვეება მოძრაობა F წერტილიდან F_1 -საკენ. მაშასადამე, როგორც ნახ. 5ა-დან ჩანს, საგადასახადო განაკვეთის გაზრდა რაღაც პერიოდში გამოიწვევს ჭარბი მიწოდების გაჩენას. ამ სიტუაციაში წონასწორობის აღდგენის ორი შესაძლო გზა არსებობს.

ერთი გზა გულისხმობს, რომ გაზრდილი გადასახადების პარალელურად სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, მაგალითად, დამატებითი ავტონომიური შესყიდვების განხორციელებით ან ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის გატარებით. ეს მისი წამოწყებული ქმედების ლოკური გაგრძელება იქნება. თუ სახელმწიფო ამ გზით ავტონომიური დანახარჯებისა და რეალური ფულადი ნაშთისაგან შედგენილ A აგრეგატის გაზრდას

შედლებს $A = Y_{pot} [(1-b) + t^* (b-g) + \mu k / h]$ დონემდე¹⁴ და ერთობლივი მოთხოვნის მრუდს გადაიყვანს Y_1^D მდგომარეობაში, მაშინ წონასწორობა აღდგება, ამასთან, გამოშვების მოცულობა პოტენციურ მნიშვნელობას მიაღწევს ისე, რომ ფასების დონე არ შეიცვლება (ნახ. 5ა).

წონასწორობის ფორმირების აქ განხილული ვარიანტიდან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემოდებას თავისთავად არ შეუძლია დასაქმების დონის ზრდა და პოტენციური გამოშვების შესაბამის წონასწორობაში გადასვლის ინიცირება. ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებასა და სრული დასაქმების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს, დაბეგვრის რეჟიმთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნა ასრულებს.



ნახ. 5. წონასწორობის აღდგენა საგადასახადო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში

წონასწორობის აღდგენის მეორე გზაც ამასვე ასაბუთებს. მართლაც, დაეუშვათ, რომ სახელმწიფო შემოიფარგლა მხოლოდ საგადასახადო განაკვეთის გადიდებით და ერთობლივი მოთხოვნის წასახალისებლად დამატებით ქმედებებს არ ახორციელებს. მაშინ შექმნილი დისბალანსის აღმოფხვრას ეკონომიკის მთავარი საბაზრო მექანიზმი – ფასების დონის რეგულირების მექანიზმი – მოახდენს. საქმე ისაა, რომ ჭარბი ერთობლივი მიწოდება ფასების დონეს შემცირებისაკენ უბიძგებს. ამ პროცესში ერთობლივი მოთხოვნა იწევს ზრდას და მისი მრუდი Y^D მდგომარეობიდან ზემოთ Y_1^D მდგომარეობაში გადაადგილდება, ხოლო ერთობლივი მიწოდება კი მცირდება და მისი მრუდი Y^S მდგომარეობიდან მარჯვნივ Y_1^S მდგომარეობაში გადაადგილდება¹⁵ (ნახ. 5ბ). საბოლოოდ, ახალი წონასწორობა F_2 წერტილის ნაცვლად F_3 წერტილში აღმოჩნდება, რომლის შესაბამისი გამოშვების მოცულობა პოტენციური გამოშვების მოცულობაზე ნაკლებია. გარდა ამისა, t^* განაკვეთი

¹⁴ ეს ფორმულა უშუალოდ (5)-დან მიიღება მასში t^* -ს ჩასმითა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ $f(t^*) = -e(t^*)^\delta \ln(t^*)^\delta = 1$.


¹⁵ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ (2)-(5) მოდელში ფასების დონის ცვლილება ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდების მდებარეობაზე.

ოპტიმალურის ფუნქციას დაკარგავს და შექმნილ სიტუაციაში ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის როლი უკვე t_1^* -ს ეკისრება. მაშასადამე, სახელმწიფოს მცდელობა, მხოლოდ საგადასახადო განაკვეთის კორექტირებით შეექმნას ეკონომიკაში სრული დასქმების მდგომარეობა, წარმატებული ვერ იქნება, თუკი ამას შესაბამისი ერთობლივი მოთხოვნა ხელს არ უწყობს.

წონასწორობის აღდგენა ერთობლივი მიწოდების ცვლილების შემთხვევაში. წონასწორობის დარღვევის კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს პოტენციური გამოშვების განმსაზღვრელი ფაქტორების ცვლილება, მაგალითად, სამუშაო ძალის ან კაპიტალის არსებული რაოდენობის გადიდება ან შემცირება, აგრეთვე ტექნოლოგიის დონის გაუარესება ან გაუმჯობესება. ყველა ამ შემთხვევაში ერთობლივი მიწოდების ფუნქციაში შემავალი Y_{pot} ცვლილებას განიცდის და ამის გამო ერთობლივი მიწოდებაც იცვლება. გეომეტრიულად ეს გარემოება ერთობლივი მიწოდების Y^S მრუდის გადაადგილებაში გამოვლინდება, ოღონდ, ადრე განხილული გადაადგილების ვარიანტებისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში Y^S ხეშოთ გადაადგილდება თუ Y_{pot} გაიზრდება და ქვემოთ – თუ Y_{pot} შემცირდება.

დავუშვათ, საწყისი F წონასწორობის პირობებში პოტენციური გამოშვების მნიშვნელობა შეადგენდა Y_{pot} -ს და მისი შესაბამისი ერთობლივი მიწოდება Y^S მრუდით აღიწერებოდა (ნახ. 6). ვთქვათ, ტექნოლოგიის გაუმჯობესების ხარჯზე Y_{pot} მნიშვნელობა Y_{pot}^1 -მდე გაიზრდა. სხვა თანაბარ პირობებში ეს ერთობლივი მიწოდების მრუდის Y_1^S მდგომარეობაში გადასვლასა და წონასწორობის დროებით დარღვევას გამოიწვევს: არსებული t_1 საგადასახადო განაკვეთისათვის გამოშვების მოცულობა F_1 წერტილის შესაბამის დონეს მიაღწევს, იმ პირობებში, როცა ერთობლივი მოთხოვნა F წერტილით განისაზღვრება. წარმოიქმნება ჭარბი ერთობლივი მიწოდების სიტუაცია, რომლიდანაც წონასწორობაში გადასვლის სამი ვარიანტი არსებობს:

1. ერთობლივი მიწოდების სიდიდის შესამცირებლად და ერთობლივი მოთხოვნის სიდიდის წასახალისებლად სახელმწიფომ არსებული საშუალო საგადასახადო განაკვეთი ნახ. 6ა შემთხვევაში უნდა შეამციროს, ხოლო ნახ. 6ბ შემთხვევაში უნდა გაზარდოს t_2 ნიშნულამდე. ამ ქმედების შედეგად ახალი წონასწორობა F_3 წერტილში ჩამოყალიბდება, რომელსაც ნახ. 6ა-ზე შეესაბამება გაზრდილი, ნახ. 6ბ-ზე კი შემცირებული წონასწორობის გამოშვება;
2. არსებული საგადასახადო განაკვეთის პირობებში სახელმწიფომ ექსპანსიური ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკით ხელი უნდა შეუწყოს ერთობლივი მოთხოვნის იმ დონით ზრდას, რომ მისმა შესაბამისმა Y^D მრუდმა გადაინაცვლოს F_1 წერტილში. თუ ასეთ რამ მოხდება, მაშინ ახალი წონასწორობის მდგომარეობა F_1 -ში აღმოჩნდება.



ნახ. 6. პოტენციური გამოშვების სიდიდის ცვლილების გავლენა წონასწორობის მდგომარეობაზე

- წონასწორობის ჩამოყალიბების ამ ორი გზის თავისებურება იმაშია, რომ სახელმწიფო შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით შესაძლებელს ხდის ფასების დონე საწყისი წონასწორობის პირობებში არსებულ ნიშნულზე შენარჩუნდეს.
3. თუ სახელმწიფო არ ჩაერევა წონასწორობის ჩამოყალიბების პროცესში, მაშინ, ჭარბი მიწოდების გამო, თვითრეგულირების მექანიზმი ამოქმედდება და ფასების დონე შემცირდება. ეს, ერთი მხრივ, გაზრდის ერთობლივ მოთხოვნას და მისი მრუდი Y_1^D მდგომარეობაში გადავა, მეორე მხრივ, შეამცირებს ერთობლივ მიწოდებას და მის შესაბამის მრუდს Y_1^S მდგომარეობიდან Y_2^S მდგომარეობაში გადაადგილებს. საბოლოოდ, ახალი წონასწორობა F_2 წერტილში ჩამოყალიბდება, რომელსაც წონასწორობის საწყის F წერტილთან შედარებით გამოშვებისა და დასაქმების გაზრდილი დონე შეესაბამება.

ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაშიც ფასების დონის ცვლილებამ ერთობლივი მიწოდების მრუდის გადაადგილება გამოიწვია, რასაც კვლავ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობის ცვლილება მოჰყვა – ეს უკანასკნელი t^* -დან გადავიდა t_1^* -ში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ, როცა სახელმწიფო დაბეგვრის არსებულ საშუალო საგადასახადო განაკვეთს სტაბილურ მდგომარეობაში ინარჩუნებს, მაშინ ფასების დონის ყოველ ახალ წონასწორულ მნიშვნელობას თავისი ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთი შეესაბამება.

ლაფერის მრუდის შესახებ

ლაფერ-კეინზიანური წონასწორობის (2)-(5) მოდელის ანალიზმა გვიჩვენა, რომ, როდესაც საშუალო საგადასახადო განაკვეთი ფიქსირებულია, ეკონომიკაში მიმდინარე გარკვეული ცვლილებები გავლენას ახდენს ერთობლივი მიწოდების (4) ფუნქციაზე და იწვევს δ პარამეტრის ცვლილებას. ეს ნიშნავს, რომ წონასწორული საგადასახადო განაკვეთის ყოველ მოცემულ მნიშვნელობას

შეიძლება შეესაბამებოდეს ერთობლივი მიწოდების მრუდების მთელი ერთობლიობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია δ პარამეტრის მნიშვნელობით (ან, რაც იგივეა, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის t^* მნიშვნელობით). აღნიშნულის გამო ერთობლივი მიწოდება Y^S შეიძლება ორი ცვლადის t -ს და δ -ს ფუნქციად განვიხილოთ: $Y^S = Y^S(t, \delta)$. t -ს როლი და შინაარსი ჩვენთვის გარკვეულია. იგი ასახავს, სხვა თანაბარ პირობებში, საგადასახადო ტვირთის გავლენას ერთობლივ მიწოდებაზე. რაც შეეხება δ -ს, მისი შინაარსის გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ერთობლივი მიწოდების მოდელი (4) თავისი არსით ქცევის მოდელია, რომელშიც ასახულია ეკონომიკურ სუბიექტთა მოსალოდნელი რეაქციის შედეგი საგადასახადო ტვირთის ამა თუ იმ სიმძიმის პირობებში. ბუნებრივია, ეს რეაქცია ეკონომიკაში არსებულ სხვადასხვა სიტუაციაში ერთი და იმავე ტვირთისათვის შეიძლება ერთნაირი არ იყოს, მით უმეტეს, რომ ეკონომიკურ სუბიექტთა უმრავლესობის ქცევასა და გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად რაციონალიზმი უდევს. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, გულისხმობს, რომ ეკონომიკური სუბიექტები ქცევის ოპტიმიზებას ახდენენ არა ერთჯერადად, არამედ მრავალჯერადად, უწყვეტად, ყოველი ახალი გარემოების გათვალისწინებით. მაშასადამე, δ პარამეტრი შინაარსობრივად მრავალი იმ გარემოების რიცხვითი მახასიათებელია, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ერთობლივ მიწოდებასა და საგადასახადო განაკვეთს შორის არსებული დამოკიდებულების ხასიათზე¹⁶.

ერთობლივი მიწოდების ფუნქციის მსგავსად, ორი ცვლადის ფუნქციის როლში უნდა განვიხილოთ მიწოდების ფუნქციის საფუძველზე განსაზღვრული საბიუჯეტო საგადასახადო შემოსავლების ლაფერის ფუნქციის ვარიანტი $T^S(t)$, რომელსაც აქ განხილული (4) მოდელის პირობებში შემდეგი სახე აქვს:

$$T^S(t) = tY^S(t) = Y_{pot}(-et^{\delta+1} \ln t^\delta), \quad (6)$$

სადაც $T^S(t)$ აღნიშნავს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს დაბეგვრის $Y^S(t)$ ბაზის პირობებში. მაშასადამე, $T^S = tY^S(t, \delta) = T^S(t, \delta)$. შეიძლება ვაჩვენოთ [4], რომ ლაფერის (6) ფუნქციის მაქსიმუმის შესაბამის საგადასახადო განაკვეთს t^{**} -ს, რომელსაც სხვანაირად ლაფერის მეორე გვარის ფისკალური წერტილი ეწოდება [5, 6], შემდეგი სახე აქვს:

$$t^{**} = \exp\left(-\frac{1}{1+\delta}\right).$$

აქედან გამომდინარეობს, რომ δ -ს ცვლილებისას იცვლება t^{**} -ის მნიშვნელობაც და, ერთობლივი მიწოდების მრუდების მსგავსად, ლაფერის

¹⁶ როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ გარემოებებიდან განსაკუთრებულ როლს ფასების დონის ცვლილება ასრულებს, ამიტომ შესაძლებელია δ -ს ნაცვლად ვიხმაროთ ჩანაწერი $\delta = \delta(P)$, ხოლო ერთობლივი მიწოდების ფუნქციის $Y^S(t)$ ჩანაწერის ნაცვლად კი $Y^S = Y^S(t, \delta(P))$.

მრუდების ერთობლიობა, ანუ ოჯახი მიიღება¹⁷. მაგრამ, ერთობლივი მიწოდების მრუდისაგან განსხვავებით, რომელსაც ყველა δ -სათვის მაქსიმუმის ერთი და იგივე მნიშვნელობა Y_{pot} გააჩნია, ლაფერის მრუდის მაქსიმუმის მნიშვნელობა სხვადასხვა δ -სათვის სხვადასხვაა. საქმე ისაა, რომ (6) ფუნქციისათვის ადგილი აქვს პირობას [4]:


$$\max_t T^S(t, \delta) = \frac{1}{1 + \delta} Y_{pot} ,$$

ამიტომ δ -ს ცვლილებისას იცვლება ლაფერის მრუდის როგორც მაქსიმუმის შესაბამისი საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა t^{**} , ასევე ამ განაკვეთის პირობებში მისაღები საგადასახადო შემოსავლების მაქსიმალური სიდიდე $T^S(t^{**}, \delta)$. კერძოდ, δ -ს გადიდებისას მცირდება, შემცირებისას კი იზრდება $T^S(t^{**}, \delta)$. აქვე აღვნიშნავთ, რომ საგადასახადო განაკვეთის t^{**} მნიშვნელობა δ -ს გადიდებისას იზრდება, შემცირებისას კი მცირდება. მაშასადამე, საგადასახადო განაკვეთის ღერძზე t^{**} -ის მარჯვნივ გადაადგილებას თან სდევს $T^S(t^{**}, \delta)$ -ს მნიშვნელობის შემცირება.

ნახ. 7-ზე მოყვანილია ერთობლივი მიწოდებისა და მისი შესაბამისი საბიუჯეტო შემოსავლების მრუდები δ -ს სხვადასხვა მნიშვნელობისათვის. იგულისხმება, რომ ადგილი აქვს მიმართებას: $\delta_1 < \delta < \delta_2$.

დავუშვათ, მოცემული t განაკვეთის შესაბამისი საწყისი მაკროეკონომიკური წონასწორობის მდგომარეობაში ერთობლივი მიწოდების მრუდს წარმოადგენდა $Y^S(t, \delta)$, ლაფერის მრუდს კი – $T^S(t, \delta)$ (იხ. ნახ. 7). ვთქვათ, ამ პირობებში ერთობლივი მოთხოვნა გაიზარდა და ხელისუფლებამ საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობის არსებულ t დონეზე შენარჩუნება გადაწყვიტა. ჩვენთვის უკვე ცნობილია რომ, როდესაც საწყისი მაკროეკონომიკური წონასწორობა მიწოდების $Y^S(t, \delta)$ წირის აღმაველ ნაწილზეა, მაშინ შექმნილ სიტუაციაში ჩამოყალიბდება ერთობლივი მიწოდების $Y^S(t, \delta_1)$ და ლაფერის $T^S(t, \delta_1)$ ახალი ფუნქციები და მრუდები, რომელთა შესაბამისი δ_1 ნაკლებია δ -ზე. თუ დავუშვებთ, რომ იმავე სიტუაციაში საწყისი მაკროეკონომიკური წონასწორობა მიწოდების $Y^S(t, \delta)$ წირის დაღმაველ ნაწილზეა, მაშინ ერთობლივი მიწოდებისა და ლაფერის ახალი ფუნქციები და მრუდები მიიღებს შესაბამისად $Y^S(t, \delta_2)$ -ით და $T^S(t, \delta_2)$ -ით განსაზღვრულ სახეს. ამასთან, ადგილი ექნება უტოლობას: $\delta < \delta_2$. ცხადია, საწინააღმდეგო ცვლილებები განხორციელდება ერთობლივი მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში – ერთობლივი მიწოდებისა და ლაფერის მრუდები გადაადგილდება შესაბამისად

¹⁷ აღსანიშნავია, რომ ამჟამად მრავალი სტატია და გამოკვლევა არსებობს, რომელიც ლაფერის მრუდის კონცეფციის დასაბუთებას ან უარყოფას, მისი პრაქტიკული რეალიზაციის პრობლემების შესწავლას ეხება [7]. მათ ნაწილში უარყოფილია, ნაწილში კი აპრიორულად აღიარებულია აღნიშნული მრუდის არსებობა, ამასთან, თუ არ ჩავთვლით მოკლევადიან და გრძელვადიან მრუდებად დაყოფის შემთხვევას [8], ყველა მათგანში ერთმნიშვნელოვნად განიხილება მრუდი და არა მრუდების ერთობლიობა.



ნახ. 7. ერთობლივი მიწოდებისა და ლაფერის მრუდების სიმრავლე

$Y^S(t, \delta_2)$ და $T^S(t, \delta_2)$ მდგომარეობაში საწყისი წონასწორობის აღმავალ ნაწილზე ყოფნისას და $Y^S(t, \delta_1)$ და $T^S(t, \delta_1)$ მდგომარეობაში – დაღმავალ ნაწილზე ყოფნისას.

ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ ლაფერის მრუდი არ არის მდგრადი კონსტრუქცია და ეკონომიკაში შექმნილი სიტუაციების მიხედვით, განსაკუთრებით კი ფასების დონის ცვლილების შედეგად, იგი შეიძლება შესაბამისად შეიცვალოს, რაც, აგრეთვე, t^{**} -ს ცვლილებას გულისხმობს. ასეთ პირობებში მიწოდების თეორიის მომხრეებში გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასურველია, დავადგინოთ ბიუჯეტის მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების მომტანი განაკვეთის მნიშვნელობა t^{**} , რომელიც საფუძვლად დაედება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და არსებული საგადასახადო რეჟიმის სრულყოფას, “მიმზიდველობასა” და აქტუალობას კარგავს, ვინაიდან ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების გამო მუდმივად საჭირო იქნება დადგენილი საშუალო განაკვეთის ცვლილება, რაც, საბოლოო ანგარიშით, არასასურველი შედეგის მომტანია¹⁸.

¹⁸ ცნობილი ეკონომისტის რობერტ ბაროს აზრით, საგადასახადო განაკვეთის მუდმივი ცვლილება (როგორც ვადიდება, ისე შემცირება) ეკონომიკაში უფრო მეტ დამახინჯებებსა და აუნაზღაურებელ დანაკარგებს იწვევს, ვიდრე ფიქსირებული განაკვეთის მქონე დაბეგვრის რეჟიმი [9, გვ. 245].

გამოყენებული ლიტერატურა

1. Papava, V. The Georgian Economy: From “Shock Therapy” to “Social Promotion”. *Communist Economies & Economic Transformation*, 1996, Vol. 8, No. 8.
2. Ананишвили Ю. Ш., Папава В. Г. Роль средней налоговой ставки в кейнсианской модели совокупного спроса. *Общество и экономика*, 2010, № 3-4.
3. Дорнбуш Р., Фишер С. *Макроэкономика*. Москва, Изд-во МГУ, ИНФРА-М, 1997.
4. Ананишвили Ю. Ш., Папава В. Г. Модели оценки влияния налогов на результаты экономической деятельности. *Экономика, Финансы, Налоги*, 2010, № 2.
5. Балацкий Е. В. Анализ Влияния налоговой нагрузки на экономический рост с помощью производственно-институциональных функции. *Проблемы прогнозирования*, 2003, № 2.
6. Балацкий Е. В. Эффективность фискальной политики государства. *Проблемы прогнозирования*, 2000, № 5.
| <i>F-statistic (p-value)</i> | 1.51 (.0955) | 1.80 (.0298) | - | - |
| <i>R-square</i> | - | - | .3449 | .3224 |
| <i>Chi-sq (p value)</i> | - | - | 443.632 (.0000) | 398.90 (.0000) |
| <i>Sample size</i> | 846 | 846 | 846 | 846 |

Note: standard errors in brackets; *** -significant at 1% level; **-significant at 5% level; * - significant at 10% level.

In GMM and SURE models the parameters of cross-wage terms are of the same sign and are significant only in men equations correspondingly at 5% and 1% level. Not like in other transition economy studies of collective labour supply [10], the effect of cross-term for men is higher than for women, indicating that men decision to supply labour is more strongly influenced by changes in partners wage income. In this study we failed to find any significant effect of non-labour income on labour supply decisions for both partners.

The effect of the most individual characteristics on working hours is insignificant in GMM model. Only number of children less than 6 years old has positive effect (significant at 5% level) on men’s working hours. In SURE model age and age square are significant at 1% level and have proper signs in all equations, whereas the influence of number of children less than 6 years old is significant only for men.

In contradiction to the theory in GMM model distribution factors have the same signs but no one of these variables has statistically significant effect on labour supply. Moreover, some of the dummies reflecting educational differences between spouses are dropped out due to collinearities. In the SURE model the fraction of males wage rate has very strong distributional impact (significant at 1% level) on working hours of both men and women, whereas formal marriage is significant at 5 percent level for men. All other distributional factors are statistically insignificant.

In general, the size of effects of explicative variables is higher in GMM equations as compared to SURE model. However, for the SURE model more estimated parameters are found to be significant. The better explanatory power of the SURE model as compared to GMM approach in detecting significance of the independent variables’ effect can be explained by the better performance of the former model in situation of unobserved heterogeneities between error terms in partner equations.

We think that the failure to find statistically significant effects of some individual characteristics and distribution factors in estimated models can be explained by multicollinearity problem. However, another explanation of low statistical significance of distribution factors as well as incorrect signs could be non-relevancy of collective model of labour supply in Georgian context. We will test this issue in the next section.

Test of the Unitary and Collective Models. Based on the empirical results reported in Table 2 for the unrestricted household labour supply model, we perform test of the adequacy of unitary and collective models.

To verify the validity of unitary model, we test the null hypothesis that the impact of distribution factors is jointly equal to zero (14a). We also test two restrictions of collective model: Pareto-efficiency restriction (14b) and equality of marginal effects of wage cross-term

condition (14c). Under the null hypotheses these restrictions are satisfied. The results of these tests are presented in table 3.

The Wald test rejects the null hypothesis of the non-existence of distribution factors at 1% significance level. This means that distribution factors affects significantly labour supplies of partners and that unitary model doesn't adequately describe the household labour supply behavior.

Table 3. Results of tests on Unitary and Collective model restrictions.

| | chi-sq | Degrees of freedom | p-value |
|---|---------|--------------------|---------|
| Georgia | | | |
| Test on unitary model (Wald test on distribution factors) | 1164.12 | 14 | 0.0000 |
| Test on collective model (Wald test on Pareto efficiency) | 5.42 | 1 | 0.0199 |
| Test on collective model (Wald test on cross-term conditions) | 5.26 | 1 | 0.0218 |

The tests of the restrictions of the collective model, however, shows that the use of collective model in Georgian context cannot be supported by the data. The Pareto efficiency restriction and the cross-term condition are rejected at 5% significance level.

To summarize, Georgian household labour behavior can be adequately described neither by unitary model nor by collective model. Similar to the results for Spain [21], Georgian households labour decisions are consistent with some kind of non-unitary model in which distribution factors does matter. To say distinctly, according to data household outcomes for Georgian sample are not Pareto efficient and thus collective framework is no more a relevant model for a description of household labour supply decisions. However, there are variables that have some impact on the power distribution between partners and thus they can influence household labour supply decisions.

5. Conclusions.

To our best knowledge, this paper is the first attempt of a study of unitary and collective household labour supply models Georgia. Using data from Generations and Gender Survey (GGS) and theoretical framework developed by Chiappori et al. [20], we tested parametric restrictions imposed by two alternative models on Georgian household data set. The main policy implication for Georgia from this study suggests that further reduction in marginal tax rates could potentially stimulate labour supply, especially for women. Though the collective model has been rejected by Georgian data, the distribution factor does matter in household decision making process. Thus, policymakers must take into account not only the direct effect of the tax or labour policy on labour supply of each partner, but also consider the indirect effects of taxes through distributional factors.

Generally, we failed to prove the main **Research Hypothesis** (H1) of this study that collective model is appropriate tool for describing household labour supply in transition economy context. On the whole, the results of this study contradict the findings of previous studies of collective household framework in transition economies [10, 27]. We think that one of the reasons that we failed to prove the efficiency of collective labour supply model for Georgia is a relatively small sample size. To test the restrictions of traditional collective framework, we had to reduce a sample size to couples where both partners do work, to avoid the corner solution. This forced us to reduce the sample from 6422 to 846 observations. Thus consideration of non-participants for the collective labour supply model represents a promising direction for further research.

LITERATURE

1. Anderson, T. W., and H. Rubin. (1949). “Estimation of the parameters of a single equation in a complete system of stochastic equations.” *Annals of Mathematical Statistics*, 20: pp. 46–63.
2. Apps P, Rees R (1988). “Taxation and the household”. *Journal of Public Economics*, 35(3):355–369
3. Badurashvili, I.; Cheishvili, R.; Kapanadze, E.; Tsiklauri, S. & Sirbiladze, M. (2008), Gender relations in modern Georgian society, United Nations Population Fund, Georgian Centre of Population Research.
4. Baum, C. F., M. E. Schaffer, and S. Stillman. (2003). “Instrumental variables and GMM: Estimation and testing.” *Stata Journal* 3: 1–31.
5. Baum, C. F., M. E. Schaffer, and S. Stillman. (2007). “Enhanced routines for instrumental variables/GMM estimation and testing.” *Stata Journal* 667: 1–38.
6. Becker, Gary S. (1991). *A Treatise on the Family*. Cambridge, Mass.: Harvard Univ. Press,
7. Beninger Denis, François Laisney and Miriam Beblo (2007). “Welfare analysis of a tax reform for Germany: a comparison of the unitary and collective models of household labour supply.” *Journal of Political Economy*, 20, 869–893
8. Bernabè Sabine (2002). *A Profile of Labour Market in Georgia*. Report, State Department Statistics of Georgia, UNDP, ILO. Tbilisi.
9. Bernabè Sabine and Marco Stampini (2008). “Labour Mobility during Transition: Evidence from Georgia,” LICOS Discussion Papers № 206.
10. Bielenka Ganna (2008). “Labour Market Participation in Ukraine as a Household Conditions,” Master Thesis, National University “Kyiv-Mohyla Academy”
11. Bloemen H. (2010). “Income Taxation in an Empirical Collective Household Labour Supply Model with Discrete Hours,” *Tinbergen Institute Discussion Paper*, TI 2010-010/3, VU University of Amsterdam, and Tinbergen Institute.
12. Blundell R, Meghir C (1986), “Selection criteria for a microeconomic model of labour supply.” *Journal of Applied Econometric* , 1, 55–80
13. Blundell R, Walker I (1986), “A life-cycle consistent empirical model of family labour supply using cross-section data.” *Review of Economic Studies*, 53, 539–558
14. Blundell R., A. Duncan, and C. Meghir (1998). “Estimating Labor Supply Responses Using Tax Reforms.” *Econometrica* 66(4):827-61.
15. Blundell R., P.-A. Chiappori, T. Magnac and C. Meghir (2007). “Collective Labour Supply: Heterogeneity and Nonparticipation”, *Review of Economic Studies*. 74, 417-455.
16. Bourguignon F. and T. Magnac (1990). “Labor Supply and Taxation in France.” *The Journal of Human Resources* 25(3):358-89.
17. Chiappori P-A (1997), “Introducing household production in collective models of labor supply”. *Journal of Political Economy*, 105,191–209
18. Chiappori, P.-A. (1988). “Rational Household Labor Supply”, *Econometrica*, 56, 63-89.
19. Chiappori, P.-A. (1992). “Collective Labor Supply and Welfare”, *Journal of Political Economy*, 100, 437-67.
20. Chiappori, P.-A. ,Fortin, Bernard and Lacroix, Guy (2002), “Marriage Market, Divorce Legislation, and Household Labor Supply.” *Journal of Political Economy*, vol.10, no. 1, 37-72.
21. Crespo, Laura. (2005). “Estimation and Testing of Household Labor Supply Models: Evidence from Spain,” Working Papers. Serie AD 2005-03, Instituto Valenciano de Investigaciones Económicas, S.A. (Ivie).
22. Davidson, Russell, and MacKinnon, James G. *Estimation and Inference in Econometrics*. Oxford: Oxford Univ. Press, 1993.
23. Donni O (2003), “Collective household labor supply: non-participation and income taxation.” *Journal of Public Economics*, 87, 1179–1198

24. Donni Oliver and Nicolas Moreau (2007). “Collective labor Supply: A single-Equation Model and Some Evidence from French Data”. *The Journal of Human Resources*, XLII, 214-246.
25. Dourglshvili, N. (1997). “Social Change and the Georgia Family.” UNDP Discussion Paper Series. Tbilisi, UNDP.
26. Fortin, Bernard and Lacroix, Guy (1997), “A Test of Neoclassical and Collective Models of Household Labor Supply”, *Economic Journal*, 107, 933-955.
27. Haan P. and Myck M. (2008). “Multi-Family Households in a Labour Supply Model: A Calibration Method with Application to Poland,” IZA Discussion paper № 3611.
28. Hahn, J., J. Hausman, and G. Kuersteiner. (2004). “Estimation with weak instruments: Accuracy of higher-order bias and MSE approximations.” *Econometrics Journal* 7(1): 272–306.
29. Hansen, L., J. Heaton, and A. Yaron. (1996). “Finite sample properties of some alternative GMM estimators.” *Journal of Business and Economic Statistics*, 14(3): 262–280.
30. Lundberg S. (1988), “Labor supply of husbands and wives: a simultaneous equations approach.” *Review of Economics and Statistics*, 70, 224–235
31. Stock, J. H., and J. H. Wright. (2000). “GMM with Weak Identification.” *Econometrica*, 68(5): pp. 1055–1096.
32. Vermeulen F. (2002), “Collective household models: principles and main results.” *Journal of Economic Surveys*, 16, 533–564
33. Vermeulen, F. (2005). “And the winner is ... an empirical evaluation of unitary and collective labour supply models”. *Empirical Economics*, 30, 711–734.
34. Vermeulen, F. (2006). “A collective model for female labour with non-participation and taxation”. *Journal of Population Economics*, 19, 99–118.
35. Yemtsov Ruslan (2001). “Labor Markets, Inequality and Poverty in Georgia” IZA Discussion Paper, No. 251, January.
36. Zellner A. (1962). “An efficient method of estimating seemingly unrelated regressions and tests for aggregation bias”. *Journal of American Statistical Association*. 57: 348-68.

გიორგი ბერულავა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შინამეურნეობების მიერ შრომის მიწოდების დეტერმინანტები საქართველოს მაბალითზე

სტატიის მიზანია საქართველოში შინამეურნეობების მიერ შრომის მიწოდების გადაწყვეტილების მიღების დეტერმინანტების შესწავლა შრომის კოლექტიური მიწოდების მოდელის გამოყენებით. აღნიშნული კვლევის კონკრეტული მიზნებია:

საქართველოში შრომის მიწოდების ანალიზის განხორციელება შინამეურნეობრივ დონეზე; შრომის კოლექტიური მიწოდების მოდელის ეფექტურობის შესწავლა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის კონტექსტში; შინამეურნეობის წევრის საკუთარი და პარტნიორის ხელფასის, აგრეთვე არაშრომითი შემოსავლის მიმართ მგრძობიანობის შეფასება; შინამეურნეობრივი შრომის მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებებზე სხვადასხვა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების გავლენის შეფასება; შრომითი ბაზრისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ პოლიტიკური დებატების ხელშეწყობა.

მაბისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო ნაშრომები

გიორგი აბაშიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

კონფლიქტების გადაწყვეტის ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, გაუჩნდა შანსი, შეერთებოდა მსოფლიო თანამეგობრობას. შანსი მეტ-ნაკლები წარმატებით რეალიზდა, თუმცა მნიშვნელოვანი დანაკარგებით საქართველოსათვის, იგულისხმება ორი კონფლიქტური რეგიონის – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის პრობლემატიკა.

კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ვითარება მუდმივად ცვალებადი იყო. აღნიშნულ რეგიონებს 2008 წლამდე მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო არ აღიარებდა, თუმცა 2008 წლის შემდეგ სახელმწიფოთა ძალიან მცირე ჯგუფის მიერ, მაგრამ მაინც, მოხდა მათი აღიარება.

კონფლიქტური რეგიონები დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოს ეკონომიკას სხვადასხვა ტიპის პრობლემებს უქმნიდა და ამჟამადც უქმნის.

ეკონომიკური თვალსაზრისით უმთავრესი პრობლემა – ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების დაუცველობა, ძირითადად, 2004 წლამდე იდგა, ეს იყო კონტრაბანდული ვაჭრობის გარანტია, რომელიც შიდა ბაზარს სრულიად დაუცველს ხდიდა და მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირ კავშირში იყო სხვადასხვა ტიპის კორუფციულ გარიგებებთან. ამასთან, იყო ბიზნესის კრიმინალიზაციის მაგალითები. კონტრაბანდული ვაჭრობის აღმოფხვრა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც 2004 წელს მოხდა ცხინვალთან მდებარე ე.წ. ერგნეთის ბაზრობის დახურვა. თუმცა, თუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ბაზარზე კონტრაბანდული პროდუქცია თითქმის არ ხვდება კონფლიქტური რეგიონების გავლით, იმავეს ვერ ვიტყვით, მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობას ან ყალბი ვალუტის მიმოქცევაზე, რომლის პრეცედენტები ამჟამადაც შეინიშნება.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა დღემდე აქტუალურია. შიდა კონფლიქტებმა საცხოვრებლისა და შემოსავლის გარეშე დატოვა უამრავი ადამიანი. ქვეყანაში გაჩნდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ჯგუფი, რომელიც, ბუნებრივია, უამრავი სხვადასხვა ტიპის სოციალურ მხარდაჭერას საჭიროებდა და საჭიროებს. აღნიშნული ტიპის სოციალური მხარდაჭერა კი მნიშვნელოვან ფინანსურ და მატერიალურ სახსრებს მოითხოვს, რაც ასევე მნიშვნელოვნად აზარალებს არცთუ ისე დიდი შესაძლებლობების მქონე ქვეყნის ეკონომიკას.

მესამე ტიპის პრობლემა ეროვნული ვალუტის მიმოქცევის შეზღუდვას უკავშირდება. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის მიმოქცევის შეზღუდვა ეკონომიკის სრულფასოვან ფუნქციონირებას მნიშვნელოვან დარტყმას აყენებს.

მეოთხე სახის პრობლემა ეკონომიკურ სტაბილურობას უკავშირდება – უკონტროლო რეგიონების არსებობა და აღნიშნული რეგიონებიდან მომდინარე სხვადასხვა ტიპის ესკალაციების მუდმივი შიში, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკას არცთუ ისე სტაბილურსა და მიმზიდველს ხდის როგორც უცხოური ინვესტიციების, ისე ტურისტებისათვის. სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს რუსული საოკუპაციო ჯარებისა და მძიმე შეიარაღების არსებობა კონფლიქტურ რეგიონებში, მათ შორის ძალიან ახლოს საქართველოს დედაქალაქთან.

კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება გრძელვადიანი პროცესია და ამ პროცესში ეკონომიკურ და ბიზნესინტერესებს მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია. არასერიოზული იქნება მსჯელობა, რომ მხოლოდ ამ ინტერესებით არის შესაძლებელი კონფლიქტების სრული მოგვარება, თუმცა, სოციალურ დონეზე ურთიერთობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებაში აღნიშნულ ინტერესებს, შესაძლოა, წამყვანი როლი დაეკისროს.

საქართველოს სახელმწიფოს გააჩნია იმის საკუთარი მაგალითი, თუ როგორ არის შესაძლებელი ეკონომიკური ინტერესებით, როგორც მინიმუმ, დიპლომატის უზრუნველყოფა მოსახლეობის დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

ურთიერთთანამშრომლობის პირველი მაგალითი – ერგნეთის ბაზრობა, თუმცა სრულიად უკანონო წარმონაქმნი, მაგრამ როგორც ცალკე აღებული ელემენტი, ეთნიკური ქართველებისა და ეთნიკური ოსების ურთიერთობაში თითქმის იდეალურ ფუნქციას ასრულებდა რამდენიმე წლის მანძილზე.

მეორე მაგალითი – ენგურჰესი – ადასტურებს, თუ როგორ არის შესაძლებელი დაპირისპირებულ მხარეებს შორის თითქმის უპრობლემო თანამშრომლობის უზრუნველყოფა საერთო ინტერესების გასატარებლად.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოსა და დანარჩენ ორ კონფლიქტურ რეგიონს შორის არანაირი ტიპის ეკონომიკური ურთიერთობა არ არსებობს, თუმცა, ოფიციალურად თითქმის არც არსებობდა კონფლიქტების შემდგომ, ვინაიდან საქართველოს მხრიდან დეკლარირებული იყო აღნიშნული რეგიონების, ძირითადად, აფხაზეთის ეკონომიკური ბლოკადა.

უპირველეს ყოვლისა, ურთიერთთანამშრომლობის აღდგენის მიზნით უნდა გამოიკვეთოს გახსნილი ეკონომიკური თანამშრომლობის ნება ქართული მხარის მხრიდან. კერძოდ, უნდა გადაწყდეს სახელმწიფო დონეზე, რჩება კონფლიქტური რეგიონები ბლოკადის რეჟიმში, თუ იწყება მათთან ეკონომიკური თანამშრომლობა. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მხრიდან აღნიშნული რეგიონები დარჩება ბლოკადის რეჟიმში, ეს ამ რეგიონების კიდევ უფრო მეტად რუსეთთან ინტეგრაციას უზრუნველყოფს და კიდევ უფრო მეტად გახდის მათ ამ ქვეყანაზე დამოკიდებულებს მაშინ, როდესაც კონფლიქტური რეგიონების გახსნილობა საპირისპირო ეფექტის მატარებელი იქნება.

იმ დროს, როდესაც ორივე კონფლიქტური რეგიონი ესაზღვრება კონფლიქტის მთავარ ინსპირატორს, შეუძლებელია ვიფიქროთ ეკონომიკური ბლოკადის რეალურ ეფექტზე. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ბლოკადის სრული მოხსნის ნება არ იარსებებს, სწორი გადაწყვეტილება იქნება მისი ნაწილობრივი მოხსნის განხილვა მაინც და, ამავე დროს, ცალკეული ინიციატივების ხელშეწყობა და წახალისება.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ნებისმიერი ტიპის ეკონომიკურ ურთიერთობებს არ შეიძლება სპონტანური ხასიათი მიეცეს ან მხოლოდ თვითდინებაზე იქნეს მიშვებული, პირიქით, ყველა აღნიშნული ტიპის ინიციატივა უნდა ჯდებოდეს სახელმწიფოს სტრატეგიაში, რომელიც შემუშავებული და განხორციელებული იქნება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში.

თუმცა, დღევანდელ ვითარებაში, საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მნიშვნელოვნად აფერხებს სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ტიპის ურთიერთობებს, რომლის დაწყებაც შეიძლება საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, პირიქით, მხარს უჭერს ურთიერთობების განახლების შესაძლებლობას. ამიტომ, საჭიროა მეტი თანმიმდევრულობა სახელმწიფოს მხრიდან.

ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ ორივე დასახელებული კონფლიქტური რეგიონი ოკუპირებულია რუსეთის მხრიდან, ამ დროს ძნელია

იფიქრო პირდაპირ კავშირებზე აღნიშნული რეგიონების დე-ფაქტო გადაწყვეტილებების მიმდებარეობა თუ ადგილობრივ ლიდერებთან. ასევე, შესაძლებელია შეიქმნას ვითარება, როდესაც ქართული მხარის ნებისმიერი ინიციატივა, რამდენადაც კარგი არ უნდა იყოს ის, პოლიტიკური კონიუნქტურის გამო მიუღებელი აღმოჩნდეს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებთათვის. სწორედ ამის გამო, კარგი იქნება შუამავლად ან ინიციატორ მხარედ აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენისა და მოგვარების საკითხში მოგვევლინოს საერთაშორისო თანამეგობრობა, მსხვილი დონორები.

პირველი ნაბიჯი – სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა (შესაძლებელია თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბება) იქნება ის საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს გარკვეული გამყოფი ხაზებით დაშორებულ მოსახლეობას შორის ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენას, ვაჭრობის გაფართოებას. აღნიშნული მიმართულებით მრავალი ტექნიკური და სამართლებრივი სამუშაო იქნება შესასრულებელი. მაგალითად, აუცილებელია ლოგისტიკური პირობების უზრუნველყოფა, რათა მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს სპეციალური ეკონომიკური ზონით სარგებლობა. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია სპეციალური ეკონომიკური ზონის მუდმივი მონიტორინგი, რათა ეს ტერიტორიები არ გადაიქცეს იარაღით ვაჭრობის, ნარკობიზნესის თუ ყალბი ვალუტის სერიოზულ წყაროდ. გეოგრაფიული თვალსაზრისით, სპეციალურმა ეკონომიკურმა ზონებმა შეიძლება დაიკავოს გალი-ზუგდიდის ტერიტორია აფხაზეთის მიმართულებით და ცხინვალი-გორის ტერიტორია ცხინვალის რეგიონის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართულებით. შეიძლება ითქვას, ეს სწორედ ის ტერიტორიული ერთეულებია, სადაც კონფლიქტის შემდგომ პერიოდში თითქმის ყოველთვის მიმდინარეობდა პირობითი საზღვრების ორივე მხარეს მცხოვრებთა შორის "თავისუფალი ვაჭრობა", თუმცა, ყოველგვარი სამართლებრივი და, ზოგადად, ლეგალური ჩარჩოების გარეშე.

მეორე ნაბიჯი ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის მიმართულებით შესაძლებელია აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა იყოს, ვინაიდან, რკინიგზა საშუალებას მისცემს და დაჩქარებს ეკონომიკის ლეგალური სექტორის ამოქმედებას.

მესამე ნაბიჯი – ყველა იმ ბიზნესაქტივობის შესწავლა, რომელიც კონფლიქტის შემდგომ წარმოიქმნა და განვითარდა აღნიშნულ რეგიონებში. ამ მხრივ, უპირატესად, აფხაზეთია საინტერესო. აღნიშნული საქმიანობების შესწავლის შემდგომ კარგი იქნება მათთვის ისეთი ტიპის მხარდაჭერის შეთავაზება, რომელიც მათ ვიწრო ბიზნესინიციატივებს უფრო ფართო შესაძლებლობებს მისცემს.

მეოთხე ნაბიჯი კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ბიზნესმენტათვის სპეციალურ შეთავაზებას შეეხება. კერძოდ, კონფლიქტურ რეგიონებში მოქმედი ბიზნესმენტებისთვის, რომლებმაც, შესაძლოა, არ მოინდომონ სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში საქმიანობა, დასაშვებია შეთავაზებულ იქნეს წინადადება, რომელიც უზრუნველყოფს ამ რეგიონებში წარმოებული პროდუქციის მოხვედრას მსოფლიო ბაზარზე ზუსტად იმავე პირობებით, როგორც ეს შეეხება იმ პროდუქციას, რომელიც დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე იწარმოება. მაგალითად, აფხაზეთში კონფლიქტის შემდგომ წარმოქმნილ საწარმოში წარმოებულ პროდუქციას ექნება შანსი, საზღვარგარეთის ბაზრებზე გავიდეს, როგორც მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნის პროდუქცია, ანუ ყველა მნიშვნელოვანი ბარიერის გარეშე და სხვადასხვა შეღავათებით.

გრძელვადიან პერსპექტივაში, აღნიშნული ტიპის პროექტების თანდათანობით რეალიზება, პარალელურ რეჟიმში დღის წესრიგში დააყენებს საქართველოსა და კონფლიქტური რეგიონების საგადასახადო და საბაჟო სისტემების

უნიფიცირების საკითხს, გადასახადების ჰარმონიზაციის თემას, ყოველივე ეს კი გარკვეულ ნიადაგს მოამზადებს ერთობლივი საბაჟო-საგადასახადო სისტემის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის.

მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები, იქნება ეს სპეციალური ეკონომიკური ზონა, რკინიგზის აღდგენა, შეთავაზება ადგილობრივ საწარმოთა პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გატანასთან დაკავშირებით, ავტომატურად მოითხოვს აღნიშნულ რეგიონებში როგორც დოლარის, ევროს, ასევე ლარის მიწოდებას, რაც ნაწილობრივ დღის წესრიგში დააყენებს ამ რეგიონებში საქართველოს კომერციული ბანკების ფილიალების გახსნას, როგორც მინიმუმ, სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში მაინც. ასევე, შესაძლებელია, მთელ რიგ შემთხვევებში საჭირო გახდეს ქართული კომერციული ბანკების პლასტიკური ბარათებით სარგებლობა. მით უმეტეს, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებში მყარ ვალუტას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ამ მხრივ ქართულ ლარს გარკვეული უპირატესობები გააჩნია.

ძნელია მტკიცება, რომ ეკონომიკური ურთიერთობები თუ ბიზნესინიციატივები კონფლიქტების მოგვარების უალტერნატივო საშუალებაა, თუმცა, ასეთი ტიპის სხვადასხვა ინიციატივების განხორციელება მნიშვნელოვნად დაახლოებს ერთმანეთთან არა მხოლოდ კონფლიქტის ზონებსა და მის გარეთ მყოფ უბრალო მოქალაქეებს, არამედ ბიზნესელიტების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ ლიდერებს. ყოველივე ამან კი, შესაძლებელია, კარგი საფუძველი შექმნას და დადებითი როლი ითამაშოს პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Аспекты грузино-абхазского конфликта - №10– University of California, Irvine, 2005.
2. Аспекты грузино-абхазского конфликта - №11– University of California, Irvine, 2006.
3. Аспекты грузино-абхазского конфликта - №13– University of California, Irvine, 2007.
4. Аспекты грузино-абхазского конфликта - №14 – Hainrich Boell Foundation, Berlin, 2008.
5. План Аннана – Bergof Foundation for peace Support, Berlin, 2008.
6. “A Difficult Encounter – The Informal Georgian-Abkhazian Dialogue Process” – Oliver Wolleh, Berlin, 2006.

Giorgi Abashishvili

PhD Fellow of Ilia State University

THE ISSUES OF ECONOMIC POLICY OF CONFLICT SOLUTIONS

Summary

After the breakdown of the communist system, Georgia again received the chance to join the Commonwealth of Independent States and become the subject of law in international relations. The chance was realized more or less, though with significant losses. Georgia became a member of world community with lost territories and degraded economy.

One of the main reasons for difficult social-economic situation in Georgia is the existence of conflict regions. The conflicts in Apkhazeti and South Osseti caused significant damage to Georgia and considerably decreased its economic potential. These two regions, so called South Osseti and Apkhazeti, occupy 20% of Georgian territory and they practically became self-declared states. Prior to the war GDP was almost 1 billion dollars on this territories. Nowadays they are the main basis for conducting illegal activities and smuggling.

**ფინანსური ანგარიშგების როლი ეკონომიკურ
გადაწყვეტილებების მიღებაში**

საბაზარო ეკონომიკის პირობებში, როდესაც შემცირდა ცენტრალიზებული მართვის როლი და სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლა, საწარმოებმა იგრძინეს უფრო მეტი პასუხისმგებლობა და დამოუკიდებლობა სამეწარმეო საქმიანობასა და მის შედეგებზე. ფინანსური შედეგები და საწარმოში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები ასახვას პოულობს ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების შედეგის საფუძველს კი წარმოადგენს საადრიცხვო ინფორმაცია, რომელიც მოიპოვება სამეურნეო ადრიცხვის, კერძოდ კი ბუღალტრული ადრიცხვის მეშვეობით.

ბუღალტრული ადრიცხვა ქმნის საინფორმაციო სისტემას ფირმის საქმიანობის შესახებ, იძლევა საშუალებას, განისაზღვროს მისი ქონება და მთლიანი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები, საბოლოო ფინანსური შედეგი. ბუღალტრული ადრიცხვის ინფორმაციული სისტემის ერთი ნაწილია ფინანსური ადრიცხვა, რომელშიც თავს იყრის ინფორმაცია საწარმოს მიმდინარე ხარჯებისა და შემოსავლების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანების, ინვესტიციებისა და მათგან მიღებული შემოსავლების, დაფინანსების წყაროების მდგომარეობის შესახებ და ა.შ. სწორედ ფინანსური ადრიცხვის ინფორმაცია გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების შესადგენად.

ფინანსური ადრიცხვა სამეურნეო მოვლენების ჩაწერის, შეფასებისა და ფინანსურ ანგარიშგებაში განზოგადების საშუალებას იძლევა. ფინანსური ადრიცხვის ინფორმაცია ემყარება მხოლოდ ფაქტობრივ, რეალურ მონაცემებს, მას აქვს ობიექტური ხასიათი, რამდენადაც ეყრდნობა უკვე დასრულებულ ოპერაციებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საწარმოს რესურსების შეფასებისა და ანალიზის, შემოსავლების, ხარჯების და რისკების პროგნოზირების შესახებ ინფორმაციის წყაროს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძველებში მითითებულია, რომ ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელთა ფართო წრისათვის მათ მიერ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამეურნეო სუბიექტების მუშაობის ეფექტიანობა მათი საბოლოო ფინანსური შედეგებით ფასდება. თუ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა კარგია, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მდგომარეობა როგორც გარე, ისე შიდა ბაზარზე წარმატებულია. სწორედ ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს საქმიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და მასში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო ფენებს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშგების თითქმის ყველა მომხმარებელი ძირითადად დაინტერესებულია შემდეგი ტიპის ეკონომიკური გადაწყვეტილებებით: ინვესტირებული კაპიტალის გაყიდვა ან მისი დამატებით დაბანდება, საწარმოს ხელმძღვანელობის საქმიანობისა და პასუხისმგებლობის შეფასება, პერსონალის უზრუნველყოფა ხელფასითა და სხვადასხვა დახმარებებით, გასანაწილებელი მოგებისა და დივიდენდების განსაზღვრა, საგადასახადო პოლიტიკის

განსაზღვრა, გაცემული შესახებისა და სარგებლის დროული დაბრუნება. შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებს მიეკუთვნება: არსებული და პოტენციური ინვესტორები, საწარმოს პერსონალი, კრედიტის გამცემი ორგანიზაციები, სავაჭრო კრედიტორები, მთავრობა და მისი უწყებები, საზოგადოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები შეიძლება დავეთ:

➤ პირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები: ინვესტორები, საკრედიტო ორგანიზაციები, საწარმოს პერსონალი.

➤ არაპირდაპირი ფინანსური ინტერესების მქონე მომხმარებლები: საგადასახადო სამსახური, სადაზღვევო კომპანიები, მომსახურე ბანკები.

➤ ფინანსურად დაუინტერესებელი მომხმარებლები: სტატისტიკის ორგანოები, საზოგადოება.

იმისათვის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი გახდეს, მას უნდა ახასიათებდეს ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებლები, როგორცაა: აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა, შესადარისობა.

მოკლე მიმოხილვის შემდეგ ჩვენ შევეცდებით უფრო ფართოდ გავშალთ ფინანსური ანგარიშგების არსი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, ანგარიშგებას საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ, ანგარიშგებას ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. თითოეული ეს ანგარიშგება მოიცავს დანარჩენებისაგან განსხვავებულ ინფორმაციას, მაგრამ ერთი დამოუკიდებელი მიზანი არც ერთ მათგანს არ გააჩნია და ცალ-ცალკე ვერც ერთი მათგანი ვერ იძლევა მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას. თითოეული მათგანი ასახავს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციის სხვადასხვა ასპექტს და, შესაბამისად, ურთიერთდაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან.

ქვემოთ მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი თითოეული კომპონენტის აღწერა და მნიშვნელობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ძირითადად მოცემულია ბალანსში. მისი დანიშნულებაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ასახვა დროის გარკვეულ მონაკვეთში.

ბუღალტრული ბალანსი გვიჩვენებს რა სახის ქონებას ფლობს საწარმო და რომელი წყაროებიდან არის ის ფორმირებული. აქედან გამომდინარე, ბალანსი იყოფა ორ ნაწილად. ერთი ასახავს საწარმოს აქტივებს (ეკონომიკურ რესურსებს), მეორე კი – ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამს (ეკონომიკური რესურსების ფორმირების წყაროებს). ბალანსის ორივე ნაწილში ტოლფასი სიდიდეები თავსდება და ორმხრივობის პრინციპიდან გამომდინარე სრულდება შემდეგი ტოლობა:

$$\text{აქტივები} = \text{საკუთარი კაპიტალი} + \text{ვალდებულება}$$

ბალანსის შედგენისას აუცილებლად უნდა მიეთითოს დასახელება – ბალანსი, საწარმოს დასახელება, გამოყენებული ფულის ერთეული, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისამართი, საწარმოს საქმიანობის სახე. როგორც წესი, ბუღალტრული ბალანსი დგება დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, ჩვეულებრივ 12 თვის შემდეგ და იგი ასახავს კონკრეტული თარიღისათვის რა რაოდენობის აქტივებს ფლობს საწარმო და რამდენია მისი საკუთარი კაპიტალი და ვალდებულება.

ბალანსში აქტივები წარმოდგენილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივების სახით. გრძელვადიანი აქტივების შემადგენლობაში შედის მატერიალური, არამატერიალური და გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. მიმდინარე აქტივები ბალანსში წარმოდგენილია ფულადი საშუალებებით, ანგარიშსწორების ანგარიშებზე არსებული თანხებით, სასაქონლო მატერიალური ფასეულობებით და ა.შ.

ვალდებულებები, აქტივების მსგავსად, დაყოფილია გრძელვადიან და მიმდინარე ვალდებულებებად. გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, გადავადებული გადასახადები და ა.შ. მოკლევადიანი ვალდებულებების შემადგენლობაში შედის მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები, ვალდებულებები საწარმოს პერსონალის მიმართ, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და ა.შ.

საკუთარი კაპიტალი განხილულია, როგორც საწარმოს ვალდებულებების დაფარვის შედეგად დარჩენილი აქტივების ნაწილი. ბალანსში ის წარმოდგენილია საწესდებო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის, სააქციო კაპიტალის სახით, გაუნაწილებელი მოგებით და ა.შ.

ბალანსში ასახული აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის თითოეული ელემენტი წარმოადგენს ბალანსის მუხლს. მუხლების ჯამს ბალანსის თითოეულ ნაწილში ეწოდება ბალანსის ვალუტა, უფრო ხშირად კი ტოლობის ტერმინის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა ბალანსი.

ბალანსში მუხლების განლაგების თანმიმდევრობა ეყრდნობა ლიკვიდურობის პრინციპს. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით²⁴, ბალანსი შეიძლება აიგოს ლიკვიდურობის ზრდის ან შემცირების მიხედვით. მაშინ, როდესაც ლიკვიდურობის ზრდას ენიჭება უპირატესობა, ბალანსში მუხლების განლაგება იწყება ნაკლებადლიკვიდური და მთავრდება სწრაფლიკვიდური მუხლებით და პირიქით.

როგორც წესი, ბუღალტრულ ბალანსს გარეგნული შეხედულების თვალსაზრისით გააჩნია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფორმატი. ვერტიკალური ფორმატის ბალანსი იწყება აქტივებით და გრძელდება ვალდებულებებითა და საკუთარი კაპიტალით. ჰორიზონტალური ფორმატის ბალანსი შინაარსით იგივეა, განსხვავდება მხოლოდ იმ თავისებურებით, რომ აქტივები ბალანსში მოცემულია ორად გაყოფილი გვერდის მარცხენა ნაწილში, ხოლო საკუთარი კაპიტალი და ვალდებულება – მარჯვენა ნაწილში.

როგორც წესი, ბალანსი მოიცავს ინფორმაციას საანგარიშებო პერიოდის დასაწყისისა და საანგარიშებო პერიოდის ბოლოსათვის.

საწარმოს საანგარიშებო პერიოდის ფინანსური საქმიანობის შედეგებზე წარმოდგენას გვიქმნის მოგება-ზარალის ანგარიშგება, რომელიც შედგება საანგარიშებო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების ელემენტებისაგან.

ფინანსური შედეგი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის სახით. მის გაანგარიშებაში მონაწილეობს შესაბამის პერიოდში აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების ყველა მუხლი.

საანგარიშებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი შედგება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული მოგების ან ზარალისაგან და განსაკუთრებული მუხლებისაგან.

ჩვეულებრივ საქმიანობას უწოდებენ ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც საწარმო ახორციელებს, როგორც თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილს. ხშირ შემთხვევაში ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ადგილის აქვს ისეთ

²⁴ ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“.

მოვლენებს, რომლებიც არ ხორციელდება უშუალოდ ამონაგების მიღების მიზნით, მაგრამ იგი ემსახურება ამონაგების მიღებას.

რაც შეეხება განსაკუთრებულ მუხლებს, ეს არის საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობისაგან აშკარად განსხვავებული სამეურნეო ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლები და ხარჯები. მოგების/ზარალის ანგარიშგების შედგენისას განსაკუთრებული მუხლები გამოიყოფა ცალკე როგორც წესი, წმინდა მოგების ან ზარალის გაანგარიშება ხდება მხოლოდ ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების ელემენტებისაგან.

განსაკუთრებულ მუხლებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, აქ მიზანშეწონილია საკითხის შესწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რამდენადაც კონკრეტული მოვლენა ერთი საწარმოსათვის შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივ, ხოლო სხვა რომელიმე საწარმოსათვის, განსაკუთრებულ მოვლენად.

მოგება-ზარალის ანგარიშგება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი სახით, რასაც განაპირობებს ხარჯების დაჯგუფება მათი ეკონომიკური შინაარსის ან ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით წარდგენისათვის ხარჯები ჯგუფდება მათი შინაარსის მიხედვით. ეს მეთოდი არ მოითხოვს ხარჯების გადანაწილებას მათი ფუნქციების მიხედვით, ამდენად უფრო მოსახერხებელია გამოსაყენებლად. რაც შეეხება მეორე მეთოდს, აქ ხარჯები უნდა დაჯგუფდეს მათი ფუნქციების მიხედვით. ასეთი სახით წარდგენილი ინფორმაცია მომხმარებლებს უზრუნველყოფს უფრო შესაფერისი ინფორმაციით, ვიდრე ეკონომიკური შინაარსის მიხედვით წარდგენილი ინფორმაცია. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციების მიხედვით ხარჯების განაწილება შეიძლება ატარებდეს სუბიექტურ ხასიათსაც, იყოს პირობითი.

ჩვენი აზრით, მეთოდის შერჩევას თითოეულმა საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, თუ რომელი მეთოდის გამოყენება წარმოაჩენს მისი საქმიანობის შედეგს უკეთესად.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს საკუთარი კაპიტალის ზრდის ან შემცირების ფაქტორების შესახებ ინფორმაციას გეინვენებს ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების მიზეზი შეიძლება იყოს საწარმოს საქმიანობის შედეგები ან საწარმოს პარტნიორების კონკრეტული ქმედებები ინვესტიციებთან დაკავშირებით. კერძოდ, საკუთარი კაპიტალის ზრდას განაპირობებს საერთო წმინდა ფინანსური მოგება და პარტნიორების დამატებითი შენატანები, ხოლო ამცირებს საერთო წმინდა ზარალი და პარტნიორების მხრიდან საწესდები კაპიტალის შემცირება და დივიდენდების მიღება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით დადგენილია საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების სანიშნო ფორმატი. ანგარიშგების ფორმატი ისეა აგებული, რომ მასში ნათლად ჩანს, თუ რამდენად შეიცვალა საკუთარი კაპიტალის ცალკეული მუხლი საანგარიშგებო და წინა პერიოდის განმავლობაში და რა მიზეზით მოხდა ეს ცვლილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური ანგარიშგების ეს კომპონენტი, მასში ასახული ინფორმაციით, მნიშვნელოვანია თითქმის ყველა მომხმარებლისათვის, განსაკუთრებით კი საწარმოს მესაკუთრეებისათვის, რამდენადაც მასში ასახული ინფორმაცია საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს კაპიტალის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით საშუალება ეძლევათ, შეაფასონ საწარმოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა, მოახდინონ მომავალში მისა-

ლები ფულადი ნაკადების პროგნოზირება, შეაფასონ თუ რამდენად შეძლებს საწარმო, გადაიხადოს კრედიტები და დივიდენდები.

ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგების მთავარი მიზანია მომხმარებლის უზრუნველყოფა პერიოდის განმავლობაში საწარმოში ფულადი საშუალებების შემოდინებისა და გადინების შესახებ ინფორმაციით. აღნიშნულ ანგარიშგებაში ფულადი ნაკადების მოძრაობა უნდა აისახოს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით დაჯგუფებული.

საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფში აისახება საწარმოს ძირითად, ჩვეულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსული და გასული ფულადი სახსრები. საოპერაციო საქმიანობის ფულად ნაკადებს მიეკუთვნება: საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, როიალტების, ჰონორარების, საკომისიო გადასახდელების სახით მიღებული ფულადი სახსრები, თანამშრომელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები და სხვა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ძირითად (საოპერაციო) საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები გვიჩვენებს გააჩნია თუ არა საწარმოს სესხების დასაფარავად, საწარმოო სიმძლავრეების შესანარჩუნებლად, დივიდენდების გასაცემად და ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად საჭირო ფული, ისე რომ, მან არ გამოიყენოს დაფინანსების გარეშე წყაროები.

საინვესტიციო საქმიანობა არის გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ინვესტიციათა შექმნა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი ეკვივალენტები. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, კაპიტალიზებული დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე და საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებებზე, სხვა პირებზე სესხად გაცემული ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდების შესაძენად გადახდილი თანხები. ამ ჯგუფში შემავალი ფულადი ნაკადების ინფორმაცია გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომლებმაც უნდა შექმნას მომავალი შემოსულობები და ფულადი ნაკადები.

საფინანსო საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნა-სესხები საშუალებები. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია: აქციების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, აქციების შესაძენად და გამოსასყიდად გადახდილი ფულადი სახსრები, ფინანსური იჯარით ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები. როგორც ვნახეთ, ამ ჯგუფში ასახული ფულადი სახსრების გამოყოფა მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი სასარგებლოა სამომავლო ფულადი ნაკადების მისაღებად და საწარმოს კაპიტალის მომწოდებლების შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად.

ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგების შედეგისას შეიძლება გამოვიყენოთ არსებული ორი მეთოდიდან ერთ-ერთი: პირდაპირი მეთოდი, რომლის თანახმად ფულადი ნაკადების შემოდინება და გადინება განისაზღვრება კატეგორიების მიხედვით და არაპირდაპირი მეთოდი, რომლის გამოყენების დროს წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების, მომავალი ან წარსული პერიოდის მიღებული ან გადახდილი თანხების, საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების სიდიდის მიხედვით.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი²⁵ უპირატესობას ანიჭებს ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგების შედგენისას პირდაპირი მეთოდის გამოყენებას, რაც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაშლას მათი კატეგორიების მიხედვით და კატეგორიების კლასიფიკაციას საქმიანობათა სახეების მიხედვით.

ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის განმარტებითი შენიშვნები, ცხრილები, დანართები და სხვა დამატებითი ინფორმაცია ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლების შესახებ. მასში შეიძლება აღწერილი იყოს რისკებისა და იმ განუსაზღვრელი მოვლენების ახსნა, რომელთა გავლენითაც შესაძლებელია საწარმოს იმ რესურსებისა და ვალდებულებების ცვლილება, რომლებიც არ არიან აღიარებული ბალანსში.

ჩვენი აზრით, ზემოთ განხილული საკითხები გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი წყარო სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისა, რამდენადაც ის მოიცავს საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ანგარიშგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ინფორმაციას ატარებს, ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან და ქმნიან საწარმოს განზოგადებულ ფინანსურ სურათს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი, 2010.
2. ბუღალტრეთა მომზადების ცენტრი. ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე საწარმოებში. თბილისი, 2007.
3. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. თბილისი, 2007.
4. Carl S. Warren. James M. Reeve. Financial Accounting For Future Business Leaders.
5. <http://www.ifac.org>

Nino Andguladze
Doctorant of Ilia State University

ROLE OF FINANCIAL REPORT IN ECONOMICAL DECISIONS

Summary

This article articulates financial instruments, which are used by economical entity in decision making process.

Selection of business partners in a certain degree depends on the existing financial information about them, which is accessible through financial reports. In this article I have described the main elements and importance of financial reports as well as such issues as: components of financial reports; international standards of accounting; balance; cash flow; qualitative characteristic of correct information in financial reports; methods of creation of financial reports; classification of consumers of financial information (potential investors, managers, economists and so on) and so on. I have tried to emphasize key issue in every component and making conclusions. For example direct and indirect methods of creation of reports of organization cash flow. I have described differences between these methods and expressed my point of view about which the method is better to use for correct financial reports. My conclusions are based on international standards of accounting, and recommendations have practical meaning.

In the article are presented different approaches for creation of financial reports and their advantages for consumers of financial information.

²⁵ პასს 7 „ფულადი ნაკადის ანგარიშგება“.

გიორგი მიქანაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ეკონომიკური პოლიტიკის მაგისტრი

ეკონომიკური ზრდის მოდელები და მათზე ინსტიტუციური ბანკოთარების გავლენა

ეკონომიკური ზრდის თეორიისა და მოდელების შემუშავება სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებით ხორციელდებოდა ადრეც და ახლაც სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიაში, სამეცნიერო დაწესებულებებში და სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევართა მიერ. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, განვითარების მოცემულ ეტაპზე შემუშავებულია ეკონომიკური ზრდის რამდენიმე მოდელი. ეკონომიკური ზრდის მოდელი თავის თავში გულისხმობს რეალური ეკონომიკური პროცესის აბსტრაქტულ, გამარტივებულ გამოხატულებას, ჩამოყალიბებულს ციფრებსა და გრაფიკებში. ეკონომიკური ზრდის საკითხებს უამრავი სამეცნიერო კვლევა მიეძღვნა როგორც კონკრეტულ ქვეყანაში ადგილობრივი მეცნიერებისა და სწავლულების, ისე უცხოელი მკვლევრების მხრიდან.

დღეისათვის ცნობილია ეკონომიკური ზრდის ორი, **ნეოკლასიკური** და **ნეოკეინზიანური** თეორია. ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელი ეფუძნება საბაზრი სისტემის ოპტიმალურობას, რომელიც მყარდება ავტომატურად თავისუფალი კონკურენციის პირობებში, კონკურენციისა, რომელიც იძლევა მაქსიმალური სარგებლიანობის შესაძლებლობას. ჩარლზ კობმა და პოლ დუგლასმა ეკონომიკური ზრდის მრავალფაქტორიანი მოდელი შემუშავეს, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც საწარმოო ფუნქციის ან კობ-დუგლასის მოდელის სახელით. აღნიშნულმა მოდელმა შემდგომ სრულყოფილი სახე მიიღო რობერტ სოლოუს ნაშრომებში, ასევე ჯეიმს მიდის და იანა ტინბერგენის და სხვათა სწავლებებში. ნეოკლასიკური ზრდის მოდელი უგულვებელყოფდა ნეოკეინზიანური მოდელის რიგ შეზღუდვებს და იძლეოდა საშუალებას, მეტი სიზუსტით აღეწერა მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესების მახასიათებლები. მიჩნეულია, რომ საწარმოო ბრუნვა დამოკიდებულია გამოყენებულ კაპიტალსა და შრომაზე. აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ ტექნოლოგიის დონე მუდმივ სრულყოფა-განვითარებაშია და, გამომდინარე აქედან, მხედველობაში მიიღება ასევე დროის ფაქტორიც. აღნიშნულზე პირველმა ყურადღება გაამახვილა ნობელის პრემიის ლაურეატმა, პოლანდიელმა ეკონომისტმა იან ტინბერგენმა (1969).

უნდა აღინიშნოს, რომ ნეოკლასიკურ სქემაში შეუძლებელია დაინახო თავად ტექნოლოგიური პროგრესის მიზეზები, იმდენად, რამდენადაც ის ეკონომიკური სუბიექტების გადაწყვეტილებებზე არ არის დამოკიდებული. ნეოკლასიკურ თეორიაში განსაკუთრებული აქცენტირება ხორციელდება შინაგან ფაქტორებზე, რომელთა ზეგავლენაც ეკონომიკურ პროცესებზე არ არის მადიდ დონეზე შესწავლილი. რობერტ სოლოუ შემოიფარგლა გაწონასწორებული ეკონომიკური ზრდის შესწავლით, რომელიც ხასიათდება თანაბარზომიერი და თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პარამეტრების განვითარებით.

თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში, რომელსაც ცოდნის ეკონომიკასაც უწოდებენ, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა (მტკ) განსაკუთრებული ადგილი დაიკავა, სწორედ მტკ-ს ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა ხდება ეკონომიკაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების განმსაზღვრელი. გამომდინარე აქედან, აუცილებლად მიიჩნევა ამ ფაქტორების ზემოქმედების შესწავლა, თუ რა მნიშვნელობისაა ის ეკონომიკურ ზრდაში.

ნობელის პრემიის ლაურეატის, რობერტ სოლოუს მიერ 1950-60 წლებში შემუშავებული ეკონომიკური ზრდის მოდელი ხსნის, თუ როგორ ზემოქმედებს

დანახოვები, მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესი საწარმოების მოცულობის ზრდაზე. ეს ხდება იმ პერიოდში, როდესაც სწრაფი ტემპებით ვითარდება წარმოებები კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარებადი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში. სოლოუს მოდელი განსაზღვრავს თუ რატომ განსხვავდებიან ცხოვრების დონით სახელმწიფოები და, ამასთანავე, იძლევა ეკონომიკური პოლიტიკის ზეგავლენის შეფასების საშუალებას. აღნიშნული მოდელი, როგორც უკვე ითქვა, დაფუძნებულია კობ-დუგლასის მოდელზე და შეისწავლის სამ დამოუკიდებელ სიდიდეს: შრომას, კაპიტალს და მტკ-ს, მისი ზრდის ტემპების გამოხატულებით. სოლოუმ შეცვალა ექსტენსიური ზრდის პირობები, როგორც შრომისა და კაპიტალის შემცველი ფუნქციები და აქცენტირება გააკეთა ინტერსიურ ეკონომიკურ ზრდაზე, რომელიც დაკავშირებულია მტკ-სთან. სხვადასხვა მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ფაქტორებზე, ინოვაციურ მიდგომებზე, ფინანსურ, ინტელექტუალურ და სხვა საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპთან.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფაქტორი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ენდოგენური ცვლადი, რომელიც დამოკიდებულია საანალიზო ტერიტორიის სამ ფაქტორზე: ინოვაციურ, ინსტიტუციურ და ინტელექტუალურ კაპიტალზე.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის ობიექტი სწორედ საკითხის ინსტიტუციური ჭრილში დანახვა და განვითარებაა, მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ინსტიტუციური ფაქტორი თავის თავში შეიცავს ორ კომპონენტს: ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს.

ფორმალურ ინსტიტუტებს მიეკუთვნება: მცირე და საშუალო ბიზნესი, ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა, ინოვაციური განვითარება, ასევე, ახალი ტექნოლოგიების შექმნა, დანერგვა და გამოყენება, მმართველობის ადგილობრივი და სახელმწიფო ორგანოები, საინვესტიციო და ინოვაციურ სფეროში ინტელექტუალური საკუთრება (პატენტი, გამოგონება, ნოუ-ჰაუ), ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციური პროდუქტების ბაზარი, ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო ტექნოლოგიურ პროგრესს. **არაფორმალურ ინსტიტუტებს მიეკუთვნება:** მენტალური თავისებურებანი, საზოგადოების ეკონომიკური აზროვნება, კონსერვატივიზმი, ტრადიციები და ასე შემდეგ.

სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებით, ინსტიტუტი – ესაა როგორც სოციალური სტრუქტურა, წესებისა და ნორმების, შეზღუდვების და ვალდებულებების სისტემა, მართვისა და კონტროლის მოქმედების სისტემა და ორგანიზაცია, რომელშიც რეალიზებას პოულობს ინსტიტუტი. ინსტიტუციური ანალიზის მნიშვნელობა მატულობს გამომდინარე იქიდან, რომ ყველა დონის მმართველობაში, სახელმწიფო მმართველობიდან დაწყებული, რეგიონის, ქალაქის, დაბის თუ საწარმოთა დამთავრდებული, განუწყვეტლივ ყალიბდება მახასიათებლებით და შემადგენლობით განსხვავებული ინსტიტუტები.

ინოვაციურ განვითარებაში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს **ბიზნესი, როგორც ინსტიტუტი**. ამ საკითხის წარმატებით გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობას. ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთობის რამდენიმე მოდელიც არსებობს, რომელიც წყვეტს ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებს. ამერკული მოდელი ითვალისწინებს სტრატეგიულ მართვას და მიზნობრივ ბიზნესპროექტებს. იაპონური მოდელის შესაბამისად – საბაზრო ცვლილებებზე ხდება სწრაფი რეაგირება, ინოვაციების რეალიზებისათვის იქმნება შესაბამისი პირობები. განვითარებად ქვეყნებში ანტიკრიზისულ სახელმწიფო პოლიტიკას

უნდა გააჩნდეს გრძელვადიანი გეგმები და სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ფორმები:

1. საკონტრაქტო (სახელმწიფოსა და ფირმას შორის);
2. საარენდო (სახელმწიფო საკუთრების იჯარით გაცემა);
3. პროდუქციის გადანაწილება;
4. კოლდინგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
5. კონცესიური (სახელმწიფო საკუთრებაზე უფლებების გადაცემა).

მეცნიერთა მოსაზრებით, ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობა შექმნიდა 1. საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსების, 2. ენერგეტიკული და ეკოლოგიური უსაფრთხოების ამაღლების, 3. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის რეგიონული საკუთრების გამარტივებული განკარგვის, 4. ბიზნესისათვის მხარდაჭერი ფონდების შექმნის შესაძლებლობებს:

აშშ-ში კერძო სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერას ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ, რისთვისაც შექმნილია სპეციალური კომისიები ან სააგენტოები ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. მათი ძირითადი საქმიანობა მიმართულია კონკრეტულ რეგიონში ბიზნესის საქმიანობის განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნისაკენ. მათ ფუნქციებში შედის: ა) ბიზნესის პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა, ბ) კადრების მომზადება სპეციალურ ცენტრებსა და დაწესებულებებში, გ) საკონსულტაციო, ანალიტიკური და საპროექტო დახმარება. დახმარება ძირითადად ხორციელდება რეგიონული უპირატესობების პროგრამების რეალიზების საშუალებით, რაც უზრუნველყოფს მოცემული ტერიტორიის კონკურენტულ უპირატესობას. ასევე, არამომგებიანი, არაშემოსავლიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა, წარმატებული პროექტების რეკლამირება და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში საწარმოო განვითარება ხორციელდება ასევე ბიზნეს-ინკუბატორების საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ან სახელმწიფო, ან კერძო ორგანიზაციებად. სწორედ ბიზნეს-ინკუბატორები წყვეტენ რეგიონული განვითარების საკითხებს, ხდება ასევე მეცნიერული კვლევების კომერციალიზაცია, ადგილობრივ საწარმოებში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

იაპონიაში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით ხორციელდება, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან. სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება ასევე ლგოტური სისტემის ფინანსირების პრინციპით და სავადასახადო შეღავათების გზით, ახორციელებენ მუშაპერსონალის გადამზადებებს და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, საინფორმაციო უზრუნველყოფასა და ორგანიზაციების მასშტაბების რეგულირებას არჩეული სტრატეგიებისა და კურსის შესაბამისად. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისათვის შექმნილია ასევე ფინანსური ინსტიტუტები, რომელთაც განეკუთვნებიან, მაგალითად, კოოპერატიული ბანკები, სახელმწიფო კოოპერაცია მცირე ბიზნესისათვის, სახელმწიფო კოოპერაცია კრედიტების დაზღვევისათვის და ასე შემდეგ.

თანამედროვე ეკონომიკური სისტემისათვის, როდესაც მწარმოებლური ძალა ხდება ინფორმაცია და ცოდნა, სულ უფრო მატულობს **ბაზრის, როგორც ინსტიტუტის როლი**. ინსტიტუციურ ჭრილში ბაზარი წარმოადგენს სოციალური ორგანიზაციების და ერთიანი დაწესებულებების მთელ სპექტრს: ფირმები, საოჯახო მეურნეობები და სახელმწიფო. ეს არ ნიშნავს, რომ ბაზრები კარგავენ თავის ძირითად, ფუნდამენტალური გაცვლის ფუნქციას, უფრო მეტიც, ბაზარი

ურთიერთობაში რთავს უფლებების გადაცემის, ურთიერთმოვების გაგებას გაცვლაში და ასევე, გაცვლის პროპორციებში თანხმობას.

ინდივიდუალური მყიდველი არ გვევლინება სოციალურად იზოლირებულ პერსონად, მისი ქმედება არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ მის სურვილად და მოთხოვნილებებად. უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნილებები ყოველთვის ინსტიტუციურ ჭრილში, განხილული. მეორე, არსებობს ურთიერთკავშირის საკმაოდ რთული ჯაჭვი ტექნოლოგიურ პროცესსა და საბაზრო აგენტებს შორის, რომელშიც რთულია გაარკვიო მოვების ნორმები და წილები ინდივიდუალური მყიდველის მიერ გადახდილ მოცულობებში. და, მესამე, ბაზარი გვევლინება მეტად რთულ სისტემად, რომელიც არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ გამყიდველისა და მყიდველის მოლაპარაკების ადგილად. ინსტიტუციური ურთიერთობების აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც არსებობს დიდი რაოდენობა გამყიდველებისა და მყიდველებისა. ეს არის ის ურთიერთობები, რომელშიც სხვადასხვა გამყიდველები ან სხვადასხვა მყიდველები სხვადასხვა სიტუაციაში იმყოფებიან ან როგორც კონკურენტებად, ან როგორც საიდუმლო მეკავშირეები. ზემოთ ხსენებული ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ბაზარი გაცვლით ურთიერთობებში ცალსახად ხასიათდება შეჯიბრებითობის პრინციპით.

ეროვნული მენტალიტეტი გვევლინება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციურ ფაქტორად. სწორედ ამითი აიხსნება ის, რომ მსოფლიო ეკონომიკური ლიდერების რიცხვში დამაჯერებლად გვევლინებიან ინდოეთი და იაპონია. სპეციალისტები XXI საუკუნეს მიიხნევენ „აზიის საუკუნედ“. მოცემული ქვეყნები, ასევე ბრაზილია და მექსიკა მსოფლიო გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს აფიქსირებდნენ ეკონომიკური განვითარების მდგრადობას. ინდოეთის მწარმოებლურობის ინდექსი 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის აგვისტომდე 10.4%-ით გაიზარდა. უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდამ ამავე პერიოდში შეადგინა 40%. ინდოეთი შედის ასევე პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელ ლიდერ ქვეყნებს შორის, ხოლო იაპონია როგორც წარმატებით ნერგავს მსოფლიო ინოვაციებს, ისე აქტიურად მიმართავს ქვეყნის შიგნითა გამოგონებების დანერგვასაც. განსაკუთრებული ინტერესის საგანია იაპონელებისათვის ფილოსოფია და, ზოგადად, ფართო ხედვები, რაც იწვევს სიახლეების დანერგვის შემგუებლობას, მათ შექმნასა და დანერგვას. ამ ქვეყნებში არ არის მომხმარებლის კულტი, როგორც აშშ-ში, არამედ განსაკუთრებული აქცენტირება ხორციელდება სულიერ ფასეულობებზე, რომელიც აშკარად პრივილეგირებულია მატერიალურთან შედარებით.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, საზოგადოების ნეგატიურმა დამოკიდებულებამ ყოველგვარი დაგეგმარების მიმართ, რაც საბჭოური მართვის სტილის გადმონაშთი იყო, თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო. ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ჩარევა ეკონომიკაში ავტომატურად ნეგატიურ მოვლენად მიიხნევა. რეალურად, სახელმწიფოს როლი ქვეყნის ეკონომიკაში, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განსაკუთრებით მაღალია. ამას ეკონომისტთა დიდი ნაწილი აღიარებს. ამ დროს ქვეყნის ეკონომიკაში აუცილებელია სახელმწიფოს მონაწილეობა და ეკონომიკური პოლიტიკის კომპეტენტური კოორდინაცია, მათ შორის – ცვლილებების (ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობა თავს იკავებს ახალ დარგებში ინვესტირებისაგან, რადგან ისინი ეჭვობენ, რომ შეიძლება პარალელურად სხვა, მათი არჩევანის შემცველი ინვესტიცია განხორციელდეს, რაც მათთვის დიდი რისკის შემცველია. გამომდინარე აქედან, საინვესტიციო პოლიტიკას სჭირდება კოორდინირება, ხედვის ჩამოყალიბება (შეცდომის ან საზოგადოების მხოლოდ ნაწილის ინტერესების დაკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად

სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია უნდა იყოს, რომ საზოგადოებაში არსებული შეხედულებები ერთიანად განიხილოს, შეარჩიოს მათგან ყველაზე ხელსაყრელი და კომპეტენტური, შექმნას ერთიანი ხედვა და მიაწოდოს საზოგადოებას, ინსტიტუციური განვითარება (იმისათვის, რომ შესრულდეს დასახული მიზნები, აუცილებელია ქვეყანაში შესაბამის დონეზე ფუნქციონირებდეს ინსტიტუციები) და კონფლიქტების მართვა (სახელმწიფომ მაქსიმალურად თავი უნდა შეიკავოს, რომ არ მოხდეს ეკონომიკური გარდაქმნის პროცესის პოლიტიზება და ამ პროცესის დროს მაქსიმალურად დაიცვას ყველა მონაწილის უფლებები, რომ ისინი უსამართლობის მსხვერპლნი არ გახდნენ).

სტატიის თემის აქტუალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ინსტიტუციურ განვითარებაზე გავამახვილოთ ყურადღება. ქართულ მენტალობასთან მიმართებაში ინსტიტუციური თვალსაზრისით გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორებისა. უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩვენს საზოგადოებაში მოხდეს ფაქტებზე ორიენტირებულობა და შინაგანი, პირადი, ინდივიდუალური პრობლემების ფიქსირება. როგორც წესი, პოსტკომუნისტური წყობის ქვეყნებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს პირადი თავისუფლების საკითხები, რაც ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია. ქართული ხასიათი – სტუმართმოყვარეობა, მასპინძლობის კულტურა და დამოკიდებულება სტუმართან (შესაბამისად ტურისტთან და ინვესტორთან), ბუნების სიყვარული, სიყვარული ტრადიციების, კულტურის, ხელოვნების. გასათვალისწინებელია ასევე ხშირ შემთხვევაში ემოციურისა და მგრძობელობის, განწყობის ინტელექტუალობაზე უპირატესობა. უნდა აღინიშნოს ასევე გამოვონებათა და პატენტების სიმრავლე, რომელიც, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ვერ რეალიზდება. საგანმანათლებლო თვალსაზრისით, მოველენების ფართო, განვითარებული მსოფლმხედველობითი ხედვა. გასაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორი აღზრდა და განათლება. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვეთილად ხაზგასასმელია ოჯახის კულტი და ოჯახის მნიშვნელობა ქართულ რეალობაში. ახალგაზრდა კადრებზე ოჯახის ზეგავლენის ფაქტორები, მათი დამოკიდებულებები ოჯახზე და დამოუკიდებელი ცხოვრება-საქმიანობა. ხშირ შემთხვევაში მოქალაქე საშუალოდ 30 წლამდე თავს მშობლის მზრუნველობის ქვეშ გრძობს, რაც ხშირადვე იწვევს ახალი პოტენციური კადრების „გაფუჭებას“. ხშირ შემთხვევაში ოჯახი აქტიურად იღებს მონაწილეობას შვილის მომავალი პროფესიის არჩევაში. მათ ნაცვლად, ფაქტობრივად მშობლები წყვეტენ, რაც, საბოლოო ჯამში, ფატალური შედეგების მომტანია. ხდება მერყევი, მაძებარი ბუნების არასრულწლოვანების გადარწმუნებები თუ რომელი პროფესია უნდა აირჩიონ. ამით ზარალობს ის ორგანიზაციები, რომლებშიც ისინი შეიძლება დასაქმდნენ, ვინაიდან აღმოჩნდება, რომ ისინი აკეთებენ იმ საქმეს, რომელიც მათთვის ორგანული და მისაღები არაა (აღარაფერს ვსაუბრობთ თავად პიროვნების, როგორც არაპროფესიონალ მუშაკად ჩამოყალიბებაზე). აქედან გამომდინარე, იკლებს მათი მხრიდან შესრულებული სამუშაოს ხარისხი და ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდა საკმაოდ გვიან იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. გარდა ამისა, საქმიანი სამყარო, ასეთი დამოკიდებულებებით, კარგავს იმ პოტენციურ კარგ კადრებს, რომელთაც შესაძლებელია თავიდანვე აერჩიათ სასურველი პროფესია და სასურველ სამსახურში დასაქმებულიყვნენ, სადაც მათი შრომა იქნებოდა მაღალპროდუქტიული და იქნებოდნენ წარმატებული თანამშრომლები. ოჯახის კულტი და ტრადიციები, რა თქმა უნდა, მისაღები, საამაყო და უნდა დარჩეს ქართული საზოგადოებისათვის, თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია მენტალური გადახედვები, რაზეც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დიდი წილია დამოკიდებული.

მოკლე პერიოდში საქართველოს ეკონომიკა უმნიშვნელოვანესი ძვრებით განვითარდა და საქართველოს ეკონომიკის ისტორიაში რთული და მეცნიერთათვის საკმაოდ საინტერესო პროცესები დაფიქსირდა. როგორც წესი, ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემქმნელებს ძირითად მიზნად დასახული აქვს, რომ მომავალმა თაობებმა უკეთეს პირობებსა და მეტად სრულყოფილ გარემოში იცხოვრონ, ვიდრე მოცემულ სიტუაციაში ფიქსირდება. ეკონომიკური ზრდაც სწორედ იმას გულისხმობს, რომ მომავალმა თაობებმა შეძლონ უფრო მეტი და გაუმჯობესებული მომსახურებისა და საქონლის მიღება, ვიდრე წინა თაობებმა.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში ეკონომიკური ზრდის მოდელი იძენს ახალ მახასიათებლებს, რომელიც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად გვევლინება ენდოგენური ინსტიტუციური ფაქტორი. ის დამოკიდებულია ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებზე, განსაკუთრებით სახელმწიფო ორგანოების საკანონმდებლო ბაზა, ბიზნესის განვითარება და ეროვნული მენტალიტეტი, ასევე ბაზარი, როგორც ინსტიტუტი. ვფიქრობთ, ინსტიტუციური ფაქტორის გათვალისწინება ეკონომიკური ზრდის პრობლემების გადაწყვეტაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ინოვაციური განვითარების უზრუნველყოფა, მშპ-ს ზრდა, საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფა და სამართლიანობის პრინციპების დანერგვა შემოსავლების განაწილებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანდრო ბარნოვი, “რას ნიშნავს განმავითარებელი სახელმწიფო”, 12.02.2008. ინტერნეტ გაზეთი.
2. Gerald Stoiber: *Die Talsohle der Krise ist erreicht*. In: *Salzburger Nachrichten*. 5. Mai 2009, Wirtschaft
3. Hla Myint and Anne O. Krueger (2009) "Economic development," *Encyclopædia Britannica*.
4. **Apatova N. Institutional factor of the economy growing / N.Apatova** // Scientific Notes of Taurida National V. Vernadsky University. Series: Economy and Management. – 2010. - Vol. 23 (62), № 1. – P. 22-29. The model of economic growth, an institutional factor, being a function a few the variables, is included in which, is examined: laws, business, organs of state and regional administration, market and national features.
5. Emerging Markets Roundup // *Global Finance*. - 2009. – November. P. 13.
6. Петровская О. С. Институциональная архитектура и построение моделей экономической динамики / О. С. Петровская // Институциональная архитектура и динамика экономических преобразований: монография / [Артемова Т. И., Архиреев С. И., Гриценко А. А. и др.] ; под ред. д-ра экон. наук А. А. Гриценко. – Х.: Форт, 2008. – С. 885–910.
7. Дементьев В.В. Что мы исследуем, когда исследуем институты? // *Экономическая теория*. – 2009. - № 3. – С. 75 – 92.
8. Колесникова Н.А. Финансовый и имущественный потенциал региона: опыт регионального менеджмента. – М., Финансы и статистика, 2000.

Giorgi Mikanadze
Doctorant of Ilia State University

**ECONOMIC GROWTH MODELS AND THE INFLUENCE OF THEIR
INSTITUTIONAL DEVELOPMENT**

Summary

Article of Ilia State University Doctorate Program student, George Mikanadze on „Economic Growth Models and Influence of Institutional Development” is about economic growth models. Author underlines Robert Solous model of economic growth. Author of this article especially mentions institutional development and marks the necessity of countries institutional perfection on economical growth. Author explains Neoclassical and Neokeinsian theories of economical growth. This article touches science-technical progress and its importance in economic growth. Author discusses Business and Market as institutions and touches different components. There are reviewed originalities of American and Japan models. Author has reviewed in an inovative way national mentality and Georgian reality, harmony of Georgian market to institutional structure, main problems of georgian market.

რატ უშლის ხელს მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში?

მცირე ბიზნესი არსებითი ხასიათის თავისებურებებით გამოირჩევა, რაც დიდად ზრდის მის უპირატესობას მსხვილ საწარმოებთან შედარებით. მოქნილობა, გამოსაშვები პროდუქციის მოდელის დროულად განახლება, მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ადგილობრივი პირობების თავისებურებებისადმი ადაპტაციის დიდი უნარი – ასეთია მცირე ბიზნესის ძირითადი მახასიათებლები, რომლებმაც საბაზრო ეკონომიკის სისტემაში მას მყარი ბაზისი შეუქმნა.

მცირე ბიზნესის განვითარება კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კატალიზატორია. იგი ერთდროულად ხელს უწყობს თანამედროვე სტანდარტების და ცხოვრების სტილის განვითარებას როგორც ქალაქში, ისე სოფლად, რაც, საბოლოო ანგარიშით, განაპირობებს მსხვილი საქალაქო აგლომერაციის ზრდის შეზღუდვას.

მცირე ბიზნესის განვითარება რომ აუცილებელია ეს კარგად ესმის ჩვენს ხელისუფლებასაც. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ტურიზმისა და მცირე ბიზნესის განვითარებას ასახელებს. მცირე ბიზნესი კი პირდაპირ კავშირშია სამუშაო ადგილების შექმნასთან.

ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის კარგად განვითარებული ქსელი მოქმედებს. გერმანიამ გაათავისუფლა მცირე ბიზნესი ბრუნვის გადასახადისაგან და აპირებს შეღავათების დაწესებას საწარმოების ერთპიროვნული მფლობელებისათვის. საფრანგეთმა შეამცირა მოგების გადასახადი იმ საწარმოებისათვის, ვისი წლიური ბრუნვა 7,6 მილიონ ევროს არ აღემატება. დაწესდა სპეციალური საგადასახადო შეღავათები იმ ინვესტორებისათვის, ვინც თავიანთ ფინანსებს მცირე, განვითარებად კომპანიებში განათავსებს. გაერთიანებულ სამეფოში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ცენტრალიზებული სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს. მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ღონისძიებები ყოველწლიურად გათვალისწინებულია ქვეყნის ბიუჯეტში. მის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს:

- მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსების მოძიების გაუმჯობესება.

- საგადასახადო და ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივება.

- საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურების გაწევა.

აშშ-ში მცირე ბიზნესის მხარდაჭერას ახორციელებს მსხვილი სამთავრობო ორგანიზაცია – „მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია“ (Small Business Administration SBA), რომელიც 1953 წლიდან ფუნქციონირებს.

SBA-ს ძირითადი ამოცანებია: დაეხმაროს ადამიანებს საკუთარი ბიზნესის ორგანიზებაში, ბიზნესში ადგილის დამკვიდრებაში, ფედერალური კონტრაქტების და სუბკონტრაქტების მიღებაში. SBA მცირე საწარმოებს უწევს ფინანსურ, სამართლებრივ, ტექნიკურ, ინფორმაციულ და სხვა სახის დახმარებებს. შეიძლება მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კონკრეტულ პროგრამებს.

იაპონიაში მცირე ბიზნესის პრობლემებით დაკავებულია მცირე საწარმოთა სამმართველო, რომელიც შედის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში. მცირე და საშუალო საწარმოების სტიმულირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ეკონომიკური ბერკეტები: შეღავათიანი სესხები და კრედიტები, სხვადასხვა საგადასახადო შეღავათები, ტექნიკური და საკონსულტაციო

დახმარება, საინფორმაციო-კომპიუტერული მომსახურება, კადრების მომზადება და სხვა.

მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვისა და ლობირების მიზნით საქართველოში 2010 წლის 10 სექტემბერს დაფუძნდა „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია“(GSMEA). ორგანიზაციის დაფუძნების ინიციატორი, რამდენიმე ცნობილ ბიზნესმენთან ერთად, ოთხი ყველაზე მსხვილი ბიზნესგაერთიანებაა:

- „საქართველოს ბიზნესასოციაცია“ (BAG)
- „ამერიკის სავაჭრო პალატა“ (AmCham)
- „ევროკავშირი – საქართველოს ბიზნესსაბჭო“(EUGBC)
- „საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი“ (ICC-GEORGIA)

მცირე და საშუალო ბიზნესით დაინტერესებულ ადამიანებს ასოციაცია უკვე უახლოესი მომავლიდან შესთავაზებს სხვადასხვა, მათ შორის ბიზნესდაგეგმარების, ლიზინგის, იურიდიულ დახმარებას, მარკეტინგის, ბუღალტერიის სერვისებს და ტრენინგებს.

იმედია, „საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია“ შეასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებიც მიზნად დაისახეს და ამას სახელმწიფოდანაც ექნება გარკვეული ხელშეწყობა.

ჩვენი ხელისუფლება ხშირად ბაძავს აშშ-ს. სასურველია, მცირე ბიზნესის ხელშეწყობაშიც მიბაძოს მას. 2010 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა დაასახელა. მერე რა ჩვენი ხელისუფლებაც ხომ მთავარ პრიორიტეტად იმავეს ასახელებს. მაგრამ ბარაკ ობამამ ბიზნესმენებისადმი თავის მიმართვაში განაცხადა, რომ ახალი პროგრამის ფარგლებში პატარა ბანკები ადვილად შეძლებენ მცირე ბიზნესის დახმარებას და ხელს შეუწყობენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ახალი პროგრამა კი იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკის გამოცოცხლების მიზნით ამერიკის პრეზიდენტი მცირე და საშუალო ბანკებს მასშტაბურ დაფინანსებას დაპირდა. ქვეყნის მეთაურმა 30 მლრდ დოლარი შესთავაზა მცირე რეგიონულ ბანკებს, რომლის კლიენტები ძირითადად პატარა ფირმები არიან.

ეკონომიკის გამოცოცხლება ძალიან სჭირდება საქართველოს, მაგრამ, ამერიკისაგან განსხვავებით, 2010 წლის ბიუჯეტში მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის თანხა საეთოდ არ გამოუყვიათ.

2009 წლის მონაცემებით, გერმანიაში ბიზნესსფეროში დასაქმებული მოსახლეობის 70% დასაქმებულია მცირე ბიზნესში, სწორედ მოსახლეობის ეს ნაწილი ქმნის გერმანიაში მშპ-ის ნახევარს. ინგლისში მცირე ბიზნესში დასაქმებულია ბიზნესსფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 49%.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2010 წლის ოფიციალური მონაცემებით მცირე ბიზნესის წილი არცთუ ისე შთამბეჭდავია. 2010 წლის II კვარტლის მონაცემებით ბიზნესსექტორში სულ დასაქმებულია 371341 ადამიანი, აქედან 80377 მცირე ბიზნესში, ანუ მთლიანი დასაქმებული რაოდენობის 21%. ხოლო 2010 წლის II კვარტალში სულ გამოშვებულია 2980500 მლნ ლარის პროდუქცია, სადაც მხოლოდ 273800 მლნ ლარის პროდუქცია გამოუშვა მცირე საწარმოებმა, ეს მთლიანი მოცულობის მხოლოდ 9%-ია. თუ ამ მონაცემებს 2007 წლის ანალოგიურ მონაცემებს შევადარებთ დავინახავთ, რომ ზრდის ტენდენციის ნაცვლად კლება შეინიშნება. 2007 წელს პროდუქციის მთლიანი გამოშვება მცირე ბიზნესისათვის იყო 187800 მლნ ლარი. ეს, რა თქმა უნდა, ნაკლებია წლევანდელ მონაცემზე, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს მანევრებელი იმ დროისათვის ბიზნესსექტორში წარმოებული პროდუქციის საერთო

რაოდენობის 10,9%-ს, ხოლო მცირე ბიზნესში დასაქმებული 87390 ადამიანი ბიზნესსექტორში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 25,5%-ს შეადგენდა. ამა თუ იმ ქვეყანას ხშირად მარტივი რეფორმების განხორციელებითაც კი შეუძლია შექმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, წახალისოს ჩრდილოვანი ეკონომიკის გადასვლა ფორმალურ სექტორში და ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდას.

ხშირად საქართველოს ხელისუფლება სიამაყით აღნიშნავს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში „ბიზნესის კეთება 2010“-მა ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით მსოფლიოში მე-11 ადგილი დაიკავა. თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კვლევა რამდენიმე კრიტერიუმისაგან შედგება, რომელთაგან ნაწილი ნამდვილად ნაკლებადმნიშვნელოვანია. მაგალითად, ბიზნესის დასაწყებად საჭირო აუცილებელი იურიდიული პროცედურების მოგვარებას საქართველოში ნაკლები დრო სჭირდება ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. კვლევაში დაფიქსირებული პირველი კრიტერიუმი სწორედ ბიზნესის დასაწყებად საჭირო დროს, პროცედურებს, ხარჯებსა და მინიმალურ საწესდებო კაპიტალს შეეხება. აღნიშნული კრიტერიუმით საქართველო მსოფლიოში მე-5 ადგილზეა. ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

თუმცა, მეორე მხრივ, აღსანიშნავია ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც ბიზნესის დაწყებას უკავშირდება, ესაა კრედიტის აღება. უფრო ზუსტად კი კრედიტის აღების იურიდიული მხარეები. აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით საქართველო 30-ე ადგილზეა. კარგადაა ცნობილი, რომ ქვეყანაში რაც არ უნდა ბევრი ბიზნესსუბიექტი იყოს დარეგისტრირებული, მათი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე ბიზნესის განვითარებაზე საუბარი უბრალოდ წარმოუდგენელია.

მეწარმეები, და განსაკუთრებით მცირე მეწარმეები, პრობლემებს ბიზნესის დაწყების საწყის ეტაპზევე აწყდებიან. იმისათვის, რომ მეწარმემ თავისი საქმიანობა დაიწყო და განავითაროს, მას შესაბამისი უნარ-ჩვევების, მართვის გამოცდილების და ნიჭის გარდა, პირველ რიგში, კაპიტალი სჭირდება. მას ბანკებში საკრედიტო რესურსების მოძიების არცთუ იოლი პროცედურების გავლა უწევს. ბანკები დამწყები ბიზნესისათვის კრედიტების გაცემას მაინც-დამაინც დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდებიან, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან ამ ტიპის ბიზნესი ყოველთვის დიდ რისკთანაა დაკავშირებული. აქ კიდევ ერთი ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი, საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც დაიცავს ბანკებს სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში და რომელიც საშუალებას მისცემს ბანკს, გამოიყენოს უზრუნველყოფა ვერდაფარული სესხების სანაცვლოდ.

„მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოში“ პროექტის ფარგლებში შემუშავებულ კანონპროექტში საუბარია ფინანსების ხელმისაწვდომობაზე. ავტორები გამოსავალს ხედავენ მეწარმეებს, სახელმწიფოსა და ბანკებს შორის ერთიანი ჯაჭვის შეკვრით. ჩემი აზრით, ეს საკმაოდ კარგი გამოსავალი იქნება. სასურველია, შეიქმნას საკრედიტო ბიუროები, რომლებიც შუამავლის როლს იკისრებენ მეწარმესა და საკრედიტო დაწესებულებებს შორის. საკრედიტო ბიუროს დახმარებით გამსესხებელი უკეთ შეძლებდა, შეეფასებინა მსესხებლის რისკები. დღესდღეობით კი მეწარმეები იძულებულნი არიან, კრედიტის აღებისას უფრო მეტად დაეყრდნონ ნაცნობებსა და პირად ურთიერთობებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გადასახადებს შეეხება. კერძოდ, საუბარია გადასახადების რაოდენობაზე, გადასახადების გადახდა-დაბრუნებისათვის საჭირო დროზე. საქართველოს მდგომარეობა ამ მხრივ კიდევ უფრო რთულია, ის 64-ე ადგილზე აღმოჩნდა ამ კრიტერიუმით. გადასახადები კი, კრედიტის აღების სიმარტივესთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი

ბიზნესის განვითარებისთვის. ვერც ერთი მეწარმე ვერ გადაიხდის იმდენს, რამდენიც ხელისუფლებას სურს. მას მხოლოდ იმდენის გადახდა შეუძლია, რამდენის საშუალება აქვს. ეს საშუალება კი იმდენადვე მცირეა, რამდენადაც სუსტია ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა. ამდენად, როგორც კვლევა გვჩვენებს, ფართოდ რეკლამირებულმა ლიბერალურმა საგადასახადო სისტემამ ვერ გაამართლა. თუმცა, იმედია, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდეგ ვითარება შეიცვლება.

ახალი საგადასახადო კოდექსის ამოსავალი პრინციპია საგადასახადო სისტემის მიმართ სანდოობის ამაღლება და გონივრული ადმინისტრირება. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს სტაბილური და თანმიმდევრული საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბებას, ბიზნესის ლეგალიზაციას, ბუნდოვანების აღმოფხვრას, მიკრო და მცირე ბიზნესებს შორის განსხვავებული რეჟიმის შემოღებას. ახალ საგადასახადო კოდექსში ახალი დეფინიციები შემოდის: მიკრო ბიზნესი და მცირე ბიზნესი. მიკრო ბიზნესს მიეკუთვნებიან ის სუბიექტები, რომელთა წლიური ბრუნა არ აღემატება 30 ათას ლარს. მიკრო ბიზნესის განვითარების მიზანია სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და დასაქმებულთა ლეგალიზაცია (იმედია, ცნება მიკრო ბიზნესი მხოლოდ დასაქმებულთა ლეგალიზაციის მიზნით არ შემოდის). მიკრო ბიზნესი თავისუფლდება გადასახადებისაგან. თუმცა აქ არის ერთი ბუნდოვანი და გაუგებარი რამ, ეს შეეხება იმას, რომ საქართველოს მთავრობას აქვს უფლება, აკრძალოს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ცალკეული საქმიანობის განხორციელება, ამასთან, ასეთი ტიპის საქმიანობის კონკრეტული ან თუნდაც მიახლოებული ჩამონათვალი კოდექსში მოცემული არ არის.

რაც შეეხება მცირე ბიზნესს, მისთვის მხოლოდ ერთი სახეობის გადასახადი დარჩა და იგი ბრუნვაზე იქნება მიბმული და 3 ან 5% იქნება. მცირე ბიზნესისათვის ზღვარი 200 ათასი ლარის ბრუნვით განისაზღვრა. ეს ზღვარი, ჩემი აზრით, ძალიან დაბალია, სასურველი იყო, ზღვარი ისევ 500 ათასი ლარი ყოფილიყო.

საგადასახადო სისტემა კარგია არა მაშინ, როცა იგი მიახლოებულია განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემასთან, არამედ მაშინ, როცა მორგებულია საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე და უზრუნველყოფს ყველა გადამხდელის აქტიურ ჩართულობას სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში საკუთარი შემოსავლების და შესაძლებლობების ფარგლებში, სარგებლიანობის შესაბამისად. ის თანაბრად უნდა პასუხობდეს სამართლიანობის და ეფექტიანობის პრინციპებს. იმედია, ასეთი ან მსგავსი მაინც იქნება ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 2011 წლიდან ამოქმედდება.

მე სულაც არ ვთვლი, რომ მცირე ბიზნესის განვითარება ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზაა, მაგრამ ვთვლი, რომ მისი განვითარება გარდაუვალი აუცილებლობაა. მცირე ბიზნესის განვითარება სასარგებლოა ხელისუფლებისთვის და აუცილებელია ქვეყნისთვის. მის განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან სწორი პოლიტიკის გატარება სჭირდება. სასურველია, სახელმწიფოს მხარდაჭერა განხორციელდეს შემდეგი მიმართულებით: საგადასახადო შეღავათები, საბანკო კრედიტების აღების გამარტივება, პირდაპირი დოტაციები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.businesspress.ru>
2. <http://www.geostat.ge>
3. <http://bag.ge>

Maia Sanikidze
Doctorant of Ilia State University

WHAT HAMPERS SMALL BUSINESS TO BE DEVELOPED IN GEORGIA

Due to several notable features, SMEs have an advantage in the market place over larger firms. These features are: flexibility, real-time innovation of the production process, efficient use of inputs, inventories, and labor resources, and the ability to quickly adapt to changes in the local market place.

The small business sector in Georgia has grown little, however, it is generally believed that the focus of government is to facilitate the growth of SMEs, which can be achieved through the strong support of government. Government policy regarding SMEs should involve the following steps toward legal, financial, and institutional reform, and socio-economic development:

- Government should find more ways to attract financial resources and increase the level of investment in SMEs.
- Simplification of tax system and regulations
- Create legal and consulting agencies to assist SMEs
- Direct government subsidization of SMEs

საჯირო ნაშრომი ეკონომიკის დარგში

(გამოსმაურება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის წიგნზე: “ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი”. თბილისი, გამომცემლობა “სიახლე”, 2010. – 480 გვ.)

ეკონომიკის სფეროში განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, მით უმეტეს თანამედროვე პირობებში, როდესაც არსებითი სიახლეებითაა დატვირთული ეკონომიკური ლიტერატურა.

პროფ. რ. ასათიანმა ორ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში ორი განმარტებითი ლექსიკონი გამოსცა. მართალია, წინამდებარე ლექსიკონი პირველის – “თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი“-ს საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ იგი უფრო სრულყოფილი, შევსებული და დაზუსტებულია.

ლექსიკონი მოიცავს ორი ათას ტერმინს. მას თან ერთვის სტატიათა ანბანური და თემატური საძიებელი, ქვეყნების ანბანური ჩამონათვალი ვალუტებისა და კოდების მითითებით და მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგი ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით.

მიგვაჩნია, რომ პროფ. რ. ასათიანის წიგნი გამოირჩევა ორიგინალურობით დღემდე არსებულ ანალოგებსა და ლექსიკონებს შორის სტატიათა შინაარსით და რაოდენობით, გადმოცემის სიმარტივით და ა.შ.

პროფ. როზეტა ასათიანის წიგნი: “ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი” უდავოდ საჯირო და თანამედროვეობის ამსახველი მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელიც დადებით შეფასებას იმსახურებს და რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო მეცნიერ-ეკონომისტებს, სტუდენტებს, პრაქტიკოსებს, არამედ ამ სფეროთი დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე
აკადემიური დოქტორი თეა ლაზარაშვილი

ინფორმაცია

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტი. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ებზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN). ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economisti1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამათაბითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე
შეღავათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

36 94 77; 93 22 60; 99 66 46; 8(55) 33 01 38.

ელ.ფოსტა: gamomcemloba@rambler.ru

ჟურნალ "ეკონომისტიში" სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economisti1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

სს "საქართველოს ბანკში" კლიენტის ანგარიშზე თანხების **ერთვნივლი**
ვალუტაში (ლარი)

ჩარიცხვისათვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები

მიმღების ბანკი:

სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"

ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502

მიმღების დასახელება: სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

მიმღების ანგარიშის ნომერი: 247786300

ტელ: +995-32-444444-7842

ფაქსი: 444176

ელ.ფოსტა: tmetreveli@bog.ge

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE
JOURNAL “ECONOMIST”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the autor for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: economist1@rambler.ru,
tealazarashvili@rambler.ru

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str.,
tel: 99.66.46.

BANK DETAILS FOR TRANSFERS IN US DOLLAR
IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA

Intermediary Bank

Citibank N.A., New York, USA

SWIFT: CITIUS33

Account With Institution

Bank of Georgia, SWIFT:BAGAGE22

3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

Beneficiary: LEPL PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

Account: 247786300

Tel: +995-32-444444-7842

Fax: 444176

E-mail: tmetreveli@bog.ge

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 996646; 932804; 899 970103.

E-mail: economisti1@rambler.ru

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 996646; 893 314628.

E-mail: economisti1@rambler.ru

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

გამომცემლობის რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

Redactor of Publishing House **Sesili khandjaladze**